# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 აგვისტო, 2014 წელი.

№173 (7554)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


ჩვენი პუბლიკაცია

## მსოფლიო ქარბუქების ერთ-ერთი მომთვინიერებელი

4-8



SOS! SOS! SOS!

## დივერსია საქართველოს წინააღმდეგ?!

მესამე წერილი სამეგრელოდან

3

გულს სიხარული აცოცხლებს...

## ავთანდილ ჭრიკიშვილმა მსოფლიოს დაიპყრო!



10

## „ჯვაროსნები“ ზედიზედ მესამედ – ევროპაში



დღის ამოჩაზურიდან

## სააკაშვილო, ამასაც გვიმალავდი?!.



— აქამდე რომ გვეგონა მხოლოდ ლონდონიდან ბომბეიმდე იყო გვირაბი გაყვანილი, მთლად ასე არ ყოფილა საქმე.

როგორც ჩანს, ყოფილი ღარიბი, უფულო პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრებისთვის რაღაც ფარული მიწისქვეშა ლაბირინთიც არსებულა, ანუ ჩვენი პლანეტა დასერილი ყოფილა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის უჩინარი რამ მეტროთი. აბა, სხვანაირად რით ავხსნათ, რომ დღეს დილით ნიუ-იორკში მყოფი ჩვენი გიჟვრაცუა სააკაშვილი შუადღისას კიევშია, ხოლო საღამო ხანს უკვე დაუპატიჟებლად ჩადის თურქეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად. აი, თურმე რატომ იმეორებს ასე ხშირად ეს ძებნილი სააკაანთ ბიჭი, იმდენად ჯიბეგახვრეტილი და ქესატი ვარ, რომ გადაადგილების ერთადერთ საშუალებად მხოლოდ და მხოლოდ მეტროს ვიყენებო!..

რას იტყვით, ხალხო, დავუჯეროთ ამ დიდოსტატ ქოსატყუილას ეს კიდევ ერთი დედალი ტყუილი?!.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

**ომი უკრაინაში**

## აუცილებელია, ყველამ პატივი სცეს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.



— შეშფოთებული ვართ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში პირდაპირი სამხედრო აგრესიის შესახებ გავრცელებული ინფორმაციით. აუცილებელია, ყველამ პატივი სცეს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მის უფლებას, დაამყაროს წესრიგი, უზრუნველყოს უკრაინის თითოეული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვა და მათი ღირსეული მომავალი უკრაინის მთელს ტერიტორიაზე. საერთაშორისო თანამეგობრობამ არ უნდა დაუშვას ევროპაში ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია და საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

საქართველოს პრემიერის განცხადებით საჭიროა, არ დავიშუროთ ძალისხმევა, რათა უკრაინაში დაისადგუროს მშვიდობამ და სტაბილურობამ.

„კიდევ ერთხელ საქართველო მყარად უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს არსებული რთული მდგომარეობის დაძლევა უკრაინაში“, — აღნიშნული საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

## უკრაინაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ

საქართველოს საელჩო უკრაინაში საგანგებო რეჟიმში მუშაობს და მზად არის, საქართველოს ყველა მოქალაქეს შესაბამისი დახმარება გაუწიოს. როგორც საუბარში საქართველოს ელჩმა უკრაინაში, მიხეილ უკლებამ განაცხადა, დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში ძალიან რთული სიტუაციაა.

საელჩო მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ან ბიზნეს საქმიანობას ეწეოდნენ იმ ადგილას, სადაც



ამჟამად საომარი ვითარებაა, ტერიტორია დატოვონ.

„ძალიან დიდი საფრთხეა, ძალიან დიდი საშიშროებაა. იცით, რომ დროებით დავხურეთ ჩვენი საკონსულო დონეცკში და თანამშრომლები გამოვიყვანეთ.

გასაგებია, იქ ადამიანებს თავისი ბიზნესები აქვთ, ან სამუშაო პირობები ჰქონდათ და რაღაცის დაკარგვა ენანებათ, მაგრამ სიცოცხლის დაკარგვაზე ძვირფასი მე მგონი არაფერი არ არის.

ცხელი ხაზი საელჩოში საგანგებო, 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და ჩვენ მზად ვართ ყველა ჩვენს თანამემამულეს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გავუწიოთ“, — განაცხადა უკლებამ.

## რუსეთის მიერ უკრაინაში აყვანილ ტყვეთა შორის ორი ქართველია

უკრაინელმა ჟურნალისტებმა ის სამხედროები ამოიცნეს, რომლებიც დონეცკში მოწყობილ „ტყვეების მარშში“ სეპარატისტებმა ჩაატარეს. მათ შორის ორი ქართული გვარის ადამიანიც არის.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ჟურნალისტმა ანდრეი ცაპლიენკომ 18 ტყვედ ჩავარდნილი სამხედროს სია გამოაქვეყნა.

ჟურნალისტის ინფორმაციით, მათ შორის იყო ორი ქართული გვარის სამხედრო — ალექსანდრე წიკლაური და იური ბუკია.

24 აგვისტოს ტერორისტებმა დონეცკში ე.წ. ტყვეების აღლუმი მოაწყვეს, რომლის დროსაც ქალაქში ტყვედ ჩავარდნილი სამხედროების კოლონა ჩაატარეს.

## დედამიწაზე მრავალი კონფლიქტი არსებობს და რელიგიების მეთაურებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრება

**ამის შესახებ გუშინ საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა.**



ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე ალაჰ შუქურ ფაშაზადე თბილისში ჩამოვიდა. ფაშაზადე დაბადების 65 წლის იუბილეს ჩვენთან აღნიშნავს და იგი მეგობრული ვიზიტით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეწვია.

შეხვედრას მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად მილი მეჯლისის წევრები, მართლმადიდებელი და ებრაული თემის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქმა კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ საიუბილეო თარიღს არა მარტო აზერბაიჯანელი ხალხი, მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

პატრიარქმა საბჭოთა პერიოდი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ორი რელიგიის სულიერი ლიდერები ყოველთვის ერთმანეთს მხარს უჭერდნენ და დიდი ერთსულოვნება ჰქონდათ. პატრიარქის თქმით, ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროს, დედამიწაზე მრავალი კონფლიქტი არსებობს და დღეს განსაკუთრებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ რელიგიების მეთაურებს.

**„დღეს ჩვენ ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ომი არ იყოს დედამიწაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის პრობლემები, რომელიც არსებობს კავკასიაში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ყარაბაღში მშვიდობიანად გადაწყდება. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მოხარული ვარ თქვენი ვიზიტით საქართველოში“,** — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

თავის მხრივ, ამიერკავკასიის სულიერმა ლიდერმა დაადასტურა, რომ პატრიარქთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. მისივე თქმით, პატრიარქი ყოველთვის პატივისცემით ეკიდება ყველა ხალხის კულტურას, მათ სულიერებას იმის მიუხედავად, თუ რომელი სახელმწიფო და რომელი ერია.

ფაშაზადემ საუბრისას ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის მეთაურებსა და ხალხებს შორის მეგობრობას და აღნიშნა, რომ მისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კავკასიის სულიერი ლიდერი და მისი მეგობარია.

**„თქვენ ყოველთვის გამოდიხართ ჭეშმარიტი პოზიციიდან და სინამდვილეს ადასტურებთ, ჩვენც მივყვებით თქვენს გზას და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვიმედოვნებთ, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოგვარდება ჩვენს ქვეყნებში. როგორც რელიგიის წარმომადგენლები, მოვალე ვართ, ეს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს“,** — აღნიშნა ფაშაზადემ.

ამიერკავკასიის სულიერმა ლიდერმა პატრიარქი აზერბაიჯანში სტუმრად მიიწვია. შეხვედრის ბოლოს სულიერმა ლიდერებმა ერთმანეთს საჩუქრები გადასცეს.

**SIC!**

## სახელმწიფო ვალიდან ყოველი მოქალაქის წილად 1 100 დოლარი მოდის

**„თუ ქვეყნის ეკონომიკა სუსტია და ძველ ვალდებულებებს ვერ ისტუმრებს, მაშინ იწყებს მის დაფარვას ახალი ვალებით“.**

2013 წლის დეკემბრის ბოლოს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალი 4, 202 მლრდ. დოლარი იყო, ხოლო 2014 წლის ივლისში 4, 038 მლრდ. დოლარი შეადგინა. გამოდის, რომ საქართველოს საგარეო ვალი გასულ წელთან შედარებით მცირედით შემცირდა. სულ სხვა ვითარება გვაქვს საშინაო ვალის მხრივ: 2014 წლის მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის საშინაო ვალი 1, 753 მლრდ. ლარია, ხოლო 2013 წლის ბოლოს სახელმწიფო საშინაო ვალი 1, 344 მლრდ. ლარი იყო. რა ტენდენციები შეინიშნება ვალის მართვის მხრივ და რამდენად საშიშია ის, რომ საქართველოს მთლიანი სახელმწიფო ვალი 8 მილიარდ ლარს ბევრად აღემატება? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე გვესაუბრა.

„ზოგადად, ნებისმიერი სახელმწიფოს ვალი იზომება არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო ვალის მიხედვითაც. მართალია, 2013 წლის შემდეგ საქართველოს საგარეო ვალი მცირედით, მაგრამ მაინც შემცირდა, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს საშინაო ვალის მართვის მიმართულებით, სადაც შემცირების ნაცვლად ზრდას აქვს ადგილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საშინაო ვალის ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს, სულ მცირე, 3-3,5-ჯერ აღემატება, მდგომარეობა სულაც არ არის სასიხარულო. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ვალის 4/5 საგარეო ვალზე მოდის, ხოლო 1/5 — საშინაო ვალზე, ეს უკანასკნელი მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. თუ საგარეო ვალი მცირდება, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოში ვალის შემცირების ტენდენცია იკვეთება. ბოლო წლების ტენდენცია კი ასეთი იყო: 2009 წლამდე საქართველოს სახელმწიფო ვალი მცირდებოდა, შემდეგ კი ზრდა დაიწყო და ეს პროცესი ჯერაც არ შეჩერებულა. აქვე ჩნდება კითხვა: რატომ იღებს სახელმწიფო ვალს? — მის წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად, თუ ძველი ვალების დასაფარავად? ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები: უზრუნველყოს თავისი ხალხის ნორმალური ცხოვრება და უსაფრთხოება, დაიცვას მართლწესრიგი და გარკვეული სოციალური დახმარება გაუწიოს თავის მოსახლეობას... თუ ამ ვალდებულებების შესრულებას არ ჰყოფნის სახელმწიფოს ფინანსური რესურსი, მაშინ ის იძულებულია დასახმარებლად მიმართოს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს — მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს და ა.შ...

**— არის თუ არა საგანგაშო საქართველოსნაირი ქვეყნისთვის მთლიანი სახელმწიფო ვალის არსებული მოცულობა?**

— თუ ამ პრობლემას მთლიანობაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ამ ეტაპზე საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს, რადგან სახელმწიფოს მთლიანი ვალის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს. საქართველოს ვალის ჯამური მაჩვენებელი დაახლოებით 9 მილიარდი ლარია. 31 ივლისის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა ვიცით, მაგრამ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ცნობილი ჯერ არ არის, ამიტომ ამ ეტაპზე ზუსტი ციფრის დასახელება ძნელია. თუმცა, 2013 წლის მონაცემებით, ეს შეფარდება დაახლოებით 33,6%-ია. ამიტომაც არის ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა: როდესაც მშპ იზრდება, მაშინ ვალის დონეც მცირდება. თუ ქვეყნის ეკონომიკა სუსტია და ძველ ვალდებულებებს ვერ ისტუმრებს, მაშინ იწყებს მის დაფარვას ახალი ვალებით, რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის ვალის რაოდენობას.

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე, დაახლოებით 1 100 დოლარის ოდენობის სახელმწიფო ვალი მოდის. აქვე გეტყვით, რომ დაახლოებით ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის ოდენობის თანხა გვაქვს ვალად აღებული — ეს არის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ ვალების გასტუმრების უნარი გვქონდეს, რისთვისაც ქვეყნის ეკონომიკის უფრო მეტად განვითარება, მისი წინსვლაა საჭირო.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**კაკალ გულში**

**● „ადმირალ ჯეიმს სტავრიდისის აზრით, ნატომ შავ ზღვაზე ფლოტი უნდა გააძლიეროს.“ ჩემის აზრით, აჯობებს, შავ ზღვაში სტავრიდა გავაძლიეროთ.**

**● ისეთი პირი უჩანს, მაგარ შარში გვხვევენ, უელსში.**

**როგორ შეიძლება ქვეყნისთვის კარგი იყოს ის, რაც კანდელაკს (თუნდაც პეტრიაშვილს) მოეწონება?!**

**● სადაა დაპირებული მარსი?! რა დაელოდება კიდევ 4000 წელი?**

**● საბურთალოს იმ ნაწილს, რომლის დეპუტატები რესპუბლიკელები, დავით უსუფაშვილი და დავით ზურაბიშვილი არიან, პირველი სექტემბრიდან ვაცხადებ რესპუბლიკად!**

**● პარლამენტის მაპზე უკეთესის კომიტეტის თავმჯდომარეს ვიქტორ დოლიძეს, უელსში, რაღაც პაკეტისთვის მიუგნია, რომელიც თურმე მაპზე უკეთესზე უკეთესია.**

**არ დავიჯერებდი, თვითონ რომ არ ეთქვა.**

### წერტილოვანი ფრაზები

**● საქართველოს ბედი მაიდანზე წყდება — ყვიროდნენ ნაც აპოლოგეტები! გადაწყდა. მათი ლოგიკით, ჟივილ- ხივილიც გაუდიოდათ და საშემოდგომო მაიდანითაც იმუქრებოდნენ საქართველოში. ცოტა მოგვიანებით საქართველოს ბედი ყირიმში წყდებაო. იქაც გადაწყდა. ახლა ციხეებიდანაც კი გვანამუსებენ ჩვენი დიდგორი ლუგანსკშია და დონბასშიაო (უკრაინელთა საუბედუროდ იქაც გადაუწყვეტენ) და ვფიქრობ მაქსიმუმ ახალ წლამდე. ახლა მათი გურუ პირველ ინტერვიუებს იძლევა დორბლების ფრქვევით უსუსურ დასავლეთზე, მალე ალბათ მცირე გაქანების ნაცმიშკუნებიც დაგმობენ ვაშინგტონს, პარიზსა და ლონდონს...... იქნებ ისიც გაიხსენონ, სააკაშვილმა პუტინს, რომ ჩახედა თვალებში და სიკეთე დაინახა. პარტია კი არა 5 ჯერ ორიენტაცია შეცვლილი კესო-ბესოები ხართ აყო, გოკა, წუკოებო!**

**● ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი აფთიაქში შედიან**

**— გამარჯობათ, ორი პრეზერვატივი.....**

**— გაგიმარჯოთ, გხედავთ...და რა გნებავთ?**

**● ხუთკუნჭულა ნაციონალი იყო!**

**● ვინაიდან გასულ წელს პრეზიდენტ მარგველაშვილს ქონდა პატივი ოჯახისთვის მარიამობის დღესასწაული მიელოცა, ამიტომ წელს სრულიად საქართველოს პრემიერი მიულოცავს!**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

# დივერსია საქართველოს წინააღმდეგ?!

## ისევ ხოკოს თაბაშირის კარიერის, ენგურჰესის წყალსაცავისა და მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ

### წერილი მესამე



**დარიალის ხეობაში განმეორებით მომხდარმა ბუნებრივმა კატაკლიზმმა, რამაც დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა ქვეყანას და, სამწუხაროდ, ამჯერადაც ადამიანები იმსხვერპლა, გვაიძულა კვლავ, „რიგგარეშედ“, შევკრებილვიყავით, კიდევ ერთხელ გვემსჯელა ენგურჰესის წყალსაცავის მარცხენა ფერდზე თაბაშირის კარიერის გახსნის გამო მოსალოდნელ სავარაუდო შედეგებზე და კიდევ ერთხელ მიგვემართა ქართველი საზოგადოებისათვის, საქართველოს მთავრობისათვის.**

**საკითხის მოკლე ისტორია ასეთია:**

მიმდინარე წლის 11 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და 13 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა წალენჯიხის საკრებულოს დეპუტატის **დავით ჭიჭინაძის,** ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში ქ. ჯვარის გამგებლის **სოსო ენგურელის** და მაშინ ენგურჰესის მშენებლობის გაზეთის „ენგურის ჩირაღდნის“ რედაქტორის, მწერლისა და ჟურნალისტის **მურად ჭანტურიას „მიმართვა ქვეყნის მოსახლეობას, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს: საშინელ ტრაგედიას ნუ დავატრიალებინებთ!“**

ავტორები უდიდეს გაკვირვებას და აღშფოთებას გამოთქვამდნენ ენგურჰესის 271,5 მეტრის სიმაღლის კაშხლის მიერ დაგუბებული 1 მილიარდ 100 მილიონი კბმ მოცულობის უზარმაზარი წყალსაცავის მარცხენა ფერდზე, ყველაზე სუსტ – მეწყერ საშიშ და კასტრებით დაქსელილ მონაკვეთზე **2007 წელს (!)** აღებული ლიცენზიით შპს „ხიბლის“ მიერ თაბაშირის კარიერის გახსნის გამო. **ავტორები გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ შეიძლებოდა ადამიანების დაუფიქრებელი მოქმედების შედეგად დაგუბებულ წყალს მდ. მაგანის ხეობისკენ ნაპრალი ეპოვა... რაც მთელ კოლხეთის დაბლობში (ათეულობით დასახლებულ პუნქტში) წარმოუდგენელ ტრაგედიას გამოიწვევდა!**

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობითაც, თავიდანვე მას და საგანგებოდ ადგილობრივი დასახლებების მცხოვრებთაგან შექმნილ საინიციატივო ჯგუფს გამოეხმაურა ინტერნეტ და ტელე-მედიის უამრავი საშუალება...

საკითხის მეცნიერულ დონეზე კომპლექსურად შესწავლის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა შესაბამისი წერილები გაუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს **(წერილი პრემიერ-მინისტრის სახელზე გავრცელდა „ფეისბუქითაც“ და მას უამრავმა ადამიანმა „მოაწერა“ ხელი).**

ასევე წერილები დაეგზავნათ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს **დავით უსუფაშვილს,** საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს **გიორგი ცაგარეიშვილს,** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს **ეკა ბესელიას,** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მაშინდელ მინისტრს **ხათუნა გოგალაძეს,** სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს **ლევან შონიას,** საქართველოს სახალხო დამცველს **უჩა ნანუაშვილს.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილების ელექტრონული ასლები (გაზეთში გამოქვეყნებული იყო თხოვნა, რომ „საქართველოს ეროვნული აკადემია ჩართულიყო საკითხის მეცნიერულად შესწავლაში) სათანადო წერილთან ერთად ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა „საქართველოს ეროვნული აკადემიის“ პრეზიდენტს **გიორგი კვესიტაძეს,** აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს **ერეკლე გამყრელიძეს,** ასევე **აკადემიის კანცელარიას.**

საინიციატივო ჯგუფი ითხოვდა ძირითადად ორ საკითხს: **„1) ავტორიტეტული სპეციალისტებისაგან (ჰიდროლოგები, ჰიდროტექნიკოსები, გეოფიზიკოსები, კარსტოლოგები, გეოლოგები, ეკოლოგები, ბუნების დამცველები...) შემდგარმა კომისიამ შეისწავლოს საკითხი კარიერის შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ და დადოს ოფიციალური დასკვნა;**

**2) ოფიციალური დასკვნის დადებამდე შეწყდეს ყოველგვარი სამუშაოები;“**

* * *

3 ივლისს წერილს ოპერატიულად გამოეხმაურა **პრემიერ-მინისტრის აპარატი,** საიდანაც გვაცნობეს, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი ასლები სასწრაფოდ რეაგირებისათვის გადაუგზავნეს ენერგეტიკის, აგრეთვე – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

* * *

მიმდინარე წლის 30 ივლისს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ქალბატონ ეკა ბესელიასაგან** მივიღეთ ჩვენი წერილის საფუძველზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ახალი მინისტრის ელგუჯა ხოკრიშვილისთვის გაგზავნილი წერილის ასლი, რომელშიც კომიტეტის თავმჯდომარე ნათლად და გასაგებად აღნიშნავს:

„...განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებენ იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება, წარმოიქმნას ბუნებაზე ადამიანის უხეში ჩარევის შედეგად და **უთითებენ გარემოებებზე, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით, საჭიროებენ დეტალურ და საფუძვლიან შესწავლას** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია! – ავტორები).

გთხოვთ, გაეცნოთ განცხადებას, აიყვანოთ პირად კონტროლზე და **უზრუნველყოთ მასში დასმული საკითხების დროული და ობიექტური გადაწყვეტა.“**

* * *

უფრო ადრე, 9 ივლისს, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ უფროსი შალვა ჯავახაძე ჩვენთვის, საინიციატივო ჯგუფისთვის, გამოგზავნილ წერილში ორჯერ გარკვევით ამბობს:

**1) „რაც შეეხება საკუთრივ კოლექტიურ წერილს (მომართვას), უნდა ითქვას, რომ მასში დასმული საკითხები მართლაც აქტუალურია. კერძოდ, მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც საჭიროა, უფრო მეტიც, აუცილებელია ხუდონის თაბაშირის საბადოს და მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური გეოლოგიური კვლევა, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს წერილში დასმულ საკითხებს“.**

**2) „აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზუალური დაკვირვება, როგორი სიხშირითაც არ უნდა განხორციელდეს ის, ვერ შეცვლის, არ წარმოადგენს დეტალური კომპლექსური კვლევის ალტერნატივას, რომლის ჩატარების მიზანშეწონილობას კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს“.**

წერილს თან ახლავს ობიექტის „გეოდინამიკური სიტუაციისა და გეოსაშიშროების შეფასების მიზნით ჩატარებული ვიზუალური კვლევის შედეგები“, სადაც თაბაშირის მომპოვებელი შპს „ხიბლის“ მიერ კარიერზე მუშაობის წესების უამრავ უხეშ დარღვევაზეა საუბარი, ესეც სიტყვასიტყვით წერია:

**„ხუდონის თაბაშირის საბადოს ფარგლებში ფერდობების მდგრადობის დასადგენად, მით უმეტეს სამთო საქმიანობის შედეგად ღრმა მეწყერული პროცესის პროვოცირების შესაძლებლობის შესაფასებლად, აუცილებელია კომპლექსური გეოლოგიური კვლევის ჩატარება. კვლევის ჩატარების აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მწყობრში შესვლის შემდეგ ადგილი აქვს აქტიურ სეისმიკას, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს მთლიანად მთის მასივის და ფერდობების მდგრადობაზე.“**

მართალია, ვიზუალური დათვალიერების შემსრულებლებს: გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების სამმართველოს უფროსს ი. ჩხეიძეს, ამავე სამმართველოს სპეციალისტს ზ. ჭყონიას და გეოლოგიური დეპარტამენტის უფროსს მ. გაფრინდაშვილს (ვისთანაც შეთანხმებულია დოკუმენტი) **ნაკლებ არგუმენტირებულად** მიაჩნიათ „ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან“ გამოთქმული მოსაზრება ენგურისა და მაგანის წყალგამყოფ ქედზე კარსტების, როგორც წერენ, „ვრცელი მიწისქვეშა სიცარიელეების“ (ვიწროები არ კმარა?!), არსებობისა და „მდ. ენგურსა და მაგანას შორის არსებულ ჰიდროლოგიურ კავშირზე“. ეს, როგორც გვესმის, არც არის მათი, როგორც გეოლოგების, კომპეტენციის სფერო (ამიტომ ყველა წერილში ჩვენ საკითხის **კომპლექსურად** შესწავლაში **ჰიდროლოგების, ჰიდროტექნიკოსების, გეოფიზიკოსების** ჩართვასაც(!) მოვითხოვდით), მაგრამ **„ვიზუალური კვლების“** ავტორთა, როგორც სპეციალისტთა, ისე პიროვნული, კეთილსინდისიერების დასტურია საბოლოოდ მათი ასეთი დასკვნა: **„გამოთქმული მოსაზრების დადასტურება ან უარყოფა ასევე დამატებითი არგუმენტია კვლევების ჩატარების აუცილებლობის სასარგებლოდ“.**

* * *

ჩვენი და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გადაგზავნილი წერილების საფუძველზე პასუხი მივიღეთ **„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან“,** რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი მუკნიაშვილი.** 2-4 ივლისს შემოწმდა შპს „ხიბლის“ საქმიანობა აღნიშნულ ობიექტზე, **„გამოვლინდა სალიცენზიო პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები... ამ ეტაპზე დეპარტამენტი ახორციელებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის რაოდენობის დადგენას და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილი იქნება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში“.**

ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ჩვენი დაინტერესების საგანს, წერილში ვკითხულობთ: „გეოდინამიკური სიტუაციის და გეოსაშიშროების შეფასების მიზნით ჩატარებული ვიზუალური კვლევის შედეგები, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წერილობით წარმოგიდგინათ **გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“.**

გარემოს ეროვნული სააგენტოს მოსაზრებას ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით (სამწუხაროდ, ჯერჯერობით თავისი პოზიცია არ გამოხატავს საქართველოს **ეროვნულ(!)** აკადემიას).

* * *

ასე და ამრიგად, **ქაღალდზე ყველანი** (ვინც პასუხი გამოგვიგზავნა!) **ვთანხმდებით საკითხის აქტუალობაში და კომპლექსური კვლევის ჩატარების აუცილებლობაში!**

* * *

გეოლოგებზე უფრო რადიკალური მოსაზრებები აქვთ ჰიდროლოგებს(!). **პროფესორმა გიორგი მეტრეველმა,** რომელიც ამიერკავკასიაში არსებული წყალსაცავების უდიდესი მცოდნე სპეციალისტია და ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ენგურჰესის წყალსაცავი, ამ მონაკვეთზე, არათუ მძიმე ტექნიკის მუშაობას, კენჭის გადაგორებასაც კი დაუშვებლად და უდიდესი რისკის შემცველად თვლის.

იგივე აზრი აქვს **ნუგზარ შეროზიას,** რომელიც ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში აქ ჰიდროლოგიური პარტიის უფროსი იყო.

* * *

არადა, ამგვარი სიტუაციის ფონზე, ფაქტობრივად, ერთი დღითაც არ შეჩერებულა ხოკოზე თაბაშირის მოპოვებითი სამუშაოები (?!).

* * *

**რას ნიშნავს ახლა ეს?!** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების, თითქოსდა სწორი პოზიციის მიუხედავად, არავის უფიქრია სამუშაოების **დროებით** (კომპლექსური კომისიის გადაწყვეტილებამდე!) შეჩერება! ჩვენ არსად, არც ერთ წერილში არ მოგვითხოვია სამუშაოების აკრძალვა: თუ ავტორიტეტული კომპლექსური კომისია უსაფრთხოების და სამუშაოთა გაგრძელების დასკვნას დადებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს შპს-ს მესაკუთრეებსაც და მათ უკან მდგარ „ოცნებაახდენილ“ საჯარო მოხელეებსაც (ჩიტის მოტანილ ამბებზე ამჯერად თავს შევიკავებთ): თაბაშირი კი არა, პირდაპირ ბაჯაღლო ოქროს ზოდები ამოეღოთ იქიდან!

**მაგრამ, თუ კომისიამ მოპოვებითი საქმიანობის აკრძალვის დასკვნა დადო? მაშინ მათ დღევანდელ საქმიანობას რა დაერქმევა?!** მხარის გუბერნატორისთვის მიწერილ წერილში კი დავარქვით, ჩვენი აზრით, შესაბამისი სახელი, ამჯერად საჯაროდ გავიმეორებთ: **პირადი გამდიდრების მიზნით საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა და დივერსია!**

იხ. 4 გვ.

SOS! SOS! SOS!

# დივერსია საქართველოს წინააღმდეგ?!

(მესამე გვერდიდან)

ახლა კი მივმართავთ შპს „ხიბლის“ მესვეურებს (2014 წლის 7 მაისის რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით წარმოების მესაკუთრეები არიან: **„ზაურ კვიკვინია... მერაბ ქარდავა,** რუსეთი, საქართველო... **ბორის ტუაევი,** რუსეთის ფედერაცია... დირექტორი – **რამაზ ქობალია,“** კარიერზე მოპოვებით სამუშაოებს ხელმძღვანელობს **ოთარ ჩიქავა**):

ბატონებო, **ლოგიკის ძალით,** მართალი და **სამშობლოზე მოფიქრალი ადამიანები** უწინარესად, თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული კომპლექსური კომისიის დასკვნით: თუ დადებდა კომისია დასკვნას – თქვენც, ჩვენც და ყველა დაეჭვებული ადამიანი შვებით და ღირსებით ამოისუნთქავდა! ხოლო თუ ფიქრობთ, რომ დასკვნა თქვენი საქმიანობის სასარგებლოდ არ იქნება და მაინც აგრძელებთ აქ მუშაობას, მაშინ... ამაზე წინა აბზაცში უკვე ვილაპარაკეთ და არ გავიმეორებთ.

მართლაც და, რა ხდება?!

ერთ-ერთ წერილში ვწერდით: სასწორის ერთ პინაზე ფული დევს, მეორე მხარეზე სამშობლოს ინტერესები! სოციალურ ქსელში ამაზე გამოგვეხმაურნენ: ღარიბ ქვეყანაში ფულის გვერდით სხვა არანაირი ინტერესი, რაგინდ კეთილშობილურიც იყოს, არ არსებობსო!

ან:

ნუთუ ქართველები ისე მივეჩვიეთ ტერიტორიების დაკარგვას და ამის შედეგად გაღებულ მსხვერპლს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფონზე ნახევარი სამეგრელო, შავი ზღვისპირეთი და აქ მცხოვრები ადამიანები (ოღონდ ფული ვიშოვოთ და!) სალაპარაკოდ არც ვღირვართ?!

**მოკლედ, გვამასხარავებს თქვენი სამინისტრო, ბატონო ელგუჯა** (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ელგუჯა ხოკრიშვილს მივმართავთ)! **ჩვენც გვამასხარავებენ, მკითხველებსაც ამასხარავებენ! – ერთი სიტყვით, მთელ საქართველოს ვამასხარავებთ?!**

* * *

მაგრამ:

მოითმენს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო უწყებების მხრიდან **ასეთი აქტუალური საკითხისადმი** (როგორც ეს უწყებები თავად აღნიშნავენ!) ასეთ ზერელე მიდგომას?! მოსახლეობის მასხარად აგდებას?!

* * *

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ: მოგვითმენს და გვაპატიებს კი დედაბუნება (და რამდენ ხანს მოგვითმენს!) **წინ გაუხედავ(!)** მოქმედებას?!

პირველ წერილში იტალიის ქალაქ მაიერატოში მომხდარი კატასტროფა მოვიყვანეთ მაგალითად. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ტრაგედიამ ყურისძირში, თერგის ხეობაში, მოგვაკითხა. გაზეთებში წერენ **500 000 (ხუთასი ათასი) კბმ მასა** ჩავიდა ხეობაშიო.

**ბატონებო, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, ენგურის წყალსაცავში 1 მილიარდ 100 მილიონი კბნ „მასაა“!**

შედარებას დიდი მათემატიკა ან დიდი ჭკუა უნდა?!

„ღვარცოფმა ლარსიჰესი, ფაქტობრივად, დამარხაო“, არადა, თურმე იყო კაცი (გეოლოგი **იაგო კაზალიკაშვილი**), რომელიც ამტკიცებდა, დარიალის ხეობაში ჰესების აშენება არ შეიძლებაო!

**ბატონო ირაკლი, ბატონო კახი, ბატონო ელგუჯა! ვინც ლარსის (დარიალის) ხეობაში ჰესის (ჰესების) მშენებლობის ნებართვა გასცა, იმის გაცემულია ენგურჰესის წყალსაცავის მარცხენა ფერდზე თაბაშირის კარიერის გახსნის ლიცენზია (კიდევ ერთხელ შეადარეთ მილიარდ ასი მილიონი ხუთასი ათასს!)! ენდობით ამ ადამიანებს? ჩვენ – არა!**

**არადა, ისტორიისა და ქართველი ერის წინაშე (ღმერთმა გვაშოროს ტრაგედია!) ხომ თქვენ აგებთ პასუხს!**

**არც იაგო კაზალიკაშვილის, ამ ჭკვიანი კაცის, „როლში“ დაგვიანებით (უფალო დაგვიფარე!) ყოფნა გვინდა!**

**სოსო ენგურელი** (ქ. ჯვარი), **ტარიელ უზილავა** (სოფ. ლია), **მანონ ფიფია** (ქ. ჯვარი), **კარლო მანია** (ქ. ჯვარი), **იგორ ცხადაია** (ჯვარი), **მალხაზ სამუშია** (სოფ. ლია), **დავით ხასაია** (სოფ. ჭალე), **ბონდო მანია** (ქ. ჯვარი), **მურთაზ გოგოხია** (სოფ. ფახულანი), **ფლორა ქანთარია** (სოფ. ჭალე), **ველოდი სამუშია** (სოფ. ლია), **გიგა ფიფია** (სოფ. ლია), **გიგა აქუბარდია** (სოფ. ჭალე), **გვანჯი მანია** (ქ. თბილისი), **მურად ჭანტურია** (ქ. ჯვარი).

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**599 24 77 05, 599 15 40 46 (ქ. ჯვარში); 593 512747(თბილისში).**

**თანამედროვე საქართველოში არ მეგულება მეტ-ნაკლებად წიგნიერი ადამიანი, რომ გელა ჩარკვიანის გვარ-სახელის ხსენებაზე პატივისცემით არ განიმსჭვალოს ამ თავისი ჩვეულებრიობით ნამდვილად არაჩვეულებრივი ქართველის მიმართ. იმის თქმაც კი თამამად შეიძლება, რომ ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა. გელა ჩარკვიანზე, ბევრიც რომ ეცადო, ზედმეტს მაინც ვერ იტყვი, რაც უნდა უქო კაცობა და ადამიანობა, მაინც რაღაცას დააკლებ. დიდი თანამდებობა აქვს, პატარა თანამდებობა თუ უთანამდებობოდ არის, სულერთია, არ იცვლება, მუდამ ერთნაირია. იმისი ერთადერთი თანამდებობა მხოლოდ ადამიანობაა.**

**მე პირადად ყოველთვის ასეთი განწყობითა და ასეთი დამოკიდებულებით ვიყავი და ვარ, როცა კი ამ არცვის მსგავს ადამიანზე ჩამოვარდნილა თუ ჩამოვარდება სიტყვა. ამ შემთხვევაში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს არც კანდიდ ჩარკვიანის შვილობას და არც იმას, რომ გელამ თვით „ინგლისელებზე მაგარი ინგლისური იცის“, აქ ლაპარაკია იმ უჩვეულო, ადამიანურ ხიბლზე, თუ გნებავთ იმ ზეგარდმო მიმზიდველობის უნარზე, რომელსაც ღმერთი, როგორც ჩანს, ძალიან ძუნწად უნაწილებს ადამის ძეთ.**

**ეს ჩემი, ალბათ, ძალიან სუბიექტური, დაკვირვება ერთხელ კიდევ, და იქნებ საბოლოოდაც, გამიმყარდა ამას წინათ საუკუნის ათას ქარიშხალგამოვლილ ედუარდ შევარდნაძის ორმოცზე, როცა მე და გელა გვერდიგვერდ მოვხვდით აღაპის სუფრაზე. მგონი, მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ გელა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მოარული მატიანეა, რომელიც საქართველოს თანამედროვე ისტორიას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში მოიცავს. ის ბედმა ბევრი ისტორიული ადამიანის გვერდით მოახვედრა, ბევრი დიდი ისტორიული მოვლენის მოწმე გახადა (ამ ბოლო დროს მან ცალკე წიგნებად გამოსცა კანდიდ ჩარკვიანის მემუარების ერთი უზარმაზარი ერთტომეული და ვრცელი „ინტერვიუ მამაჩემთან“). ერთ-ერთი ის ეპოქალური ადამიანი, ვინც გელასთან როგორც ასაკობრივად განსხვავებულ, მაგრამ თანაბარ თანამოაზრესთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა, ედუარდ შევარდნაძე იყო...**

**ეს ინტერვიუ, რომელიც, ედუარდ შევარდნაძის 70 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა ამ ორ ადამიანს შორის 1998 წლის 25 იანვარს და საზოგადოებრივი ტელევიზიით გადაიცა, დღემდე არსად გამოქვეყნებული არ ყოფილა.**

**ამ ფრიად საყურადღებო ინტერვიუს გარდა, გელა ჩარკვიანს გადაწყვეტილი აქვს კიდევ რამდენიმე საგულისყურო საარქივო მასალა გააცნოს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს, რისთვისაც გულწრფელი მადლობის თქმის მეტი სხვა არა დაგვრჩენია რა.**

**გურამ გოგიაშვილი**

# მსოფლიო ქარბუქების ერთ-ერთი მომთვინიერებელი

**გ. ჩ. – ამ უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიომ უზარმაზარი ცვლილებები განიცადა. ის, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, შეიძლება აღვწეროთ როგორც XX საუკუნის უდიდესი პოლიტიკური რევოლუცია, ამ პროცესის ერთ-ერთი ინიციატორი, სულის ჩამდგმელი თქვენ იყავით. მაინც რა მიგაჩნიათ ამ რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად, და იქნებ იმასაც შეეხოთ, თუ როგორ გახდა საერთოდ ეს შესაძლებელი.**



ედუარდ შევარდნაძე და გელა ჩარკვიანი.

**ე. შ.** – იმას, რაც ბოლო წლების განმავლობაში მოხდა, სხვადასხვა სახელს უწოდებენ, მათ შორის რევოლუციას, პირდაპირი მნიშვნელობით. მე კი ამას დავარქმევდი, ალბათ, მსოფლიო ისტორიაში უნიკალურ რევოლუციას, თუნდაც ხავერდოვანს. მართალია, მას გარკვეული მსხვერპლიც ახლდა, მაგრამ ეს მაინც ხავერდოვანი რევოლუცია იყო – შედარებით უმტკივნეულო გადასვლა სრულიად ახალ თვისებრიობაზე, რომელმაც შეცვალა მსოფლიო. ვფიქრობ, ყველაფერი დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირში 1995 წელს დაწყებულ მოვლენებთან, ე. ი. გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესთან. ამან თავისთავად დააყენა დღის წესრიგში შესაფერისი გარემოს შექმნის აუცილებლობა, რაც მოითხოვდა თავისი აუცილებელი პრინციპების ჩამოყალიბებას – თეორიულს, იდეოლოგიურს, მსოფლმხედველობითს. უმთავრესი შედეგი რევოლუციისა ცივი ომის დამთვარება, ისტორიული ანტაგონისტური წინააღმდეგობის დაძლევაა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ძირითადად კი – სახელმწიფოს – აშშ-სა და საბჭოთა კავშირს – შორის თავისი იდეოლოგიით და მიზნებით. უნდა მოძებნილიყო ისეთი ზოგადი მსოფლმხედველობა, რომელიც დაგვაძლევინებდა დაპირისპირებას. უამისოდ ახალ გარემოზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც უმთავრესი, რაც მოხდა, მსოფლმხედველობითი გარღვევა იყო.

და სწორედ მაშინ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობამ უზარმაზარი რისკი გასწია, პასუხისმგებლობა იკისრა ისეთი გზის არჩევაზე, რომლის საფუძველიც იქნებოდა ზოგადსაკაცობრიო იდეალების უპირატესობის აღიარება კლასობრივის და, თუ გნებავთ, ცალკე აღებული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ინტერესების წინაშე.

ესე იგი მოხდა ზოგადსაკაცობრიო ინტერესების აღიარება. და ამ აღიარებამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. უნდა გითხრათ, რომ ამ თეორიული მოსაზრებისადმი განსაკუთრებული, მგრძნობიარე დამოკიდებულება შეიმჩნევა. ეს უფრო ფილოსოფიური შეხედულება იყო და რადიკალური ცვლილება არ გამოუწვევია. მაგრამ სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი გარღვევა, ამას მოჰყვა სხვა ყველა დანარჩენი. მათ შორის გამოვყოფდი ერთს, რომლის შექმნაშიც, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე, ვიტყვი: გადამწყვეტი როლი მე მიმიძღვის – ეს იყო საკითხის ახლებურად დასმა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ეს კავშირები უნდა გათავისუფლდეს იდეოლოგიზებული მიდგომებისაგან და სახელმწიფოთა ურთიერთობის განსაზღვრისას უარი უნდა განვაცხადო, ასე ვთქვათ, კლასობრივ პრინციპებზე. ეს იყო ძირითადი დაკონკრეტება იმისა, თუ როგორ უნდა გადავსულიყავით ზოგადკაცობრიულის პრიმატზე. თუ არ ვიტყოდით უარს ეგრეთ წოდებულ კლასობრივ პრინციპებზე, ურთიერთობასა და შერიგებაზე ლაპარაკი ძნელი იქნებოდა, რადგან კლასობრივი და ზოგადკაცობრიული ერთმანეთთან შეუთავსებელია.

მახსოვს, როგორი ქარბუქი ატყდა ამასთან დაკავშირებით. ეს დებულება, ეს თეორია პირველად დიპლომატთა საკავშირო შეკრებაზე წამოვაყენე, სადაც მონაწილეობდა ყველა ელჩი, სადაც ჩემი ხელქვეითნიც ესწრებოდნენ. ეს იყო დღენახევრიანი სხდომა, რომელზეც სასტიკი დისკუსია გაიმართა. ცნობილი მარქსისტი, სტალინის დროს გაზეთ „პრავდის“ რედაქტორი, შემდგომში ხრუშჩოვის იდეოლოგი ილიჩოვი, რომელიც მე პატივს მცემდა და მეც ასევე ვიყავი განწყობილი მისდამი, ამბობდა, ეს შეუძლებელიაო, თქვენ გინდათ უარი თქვათ მარქსიზმზე, საერთოდ, ამით ხომ მარქსიზმი დასამარდებაო. მე ვიცოდი, რომ საგარეო პოლიტიკაში ეს ყველაფერზე უარის თქმას ნიშნავდა, რასაც ლენინმა ჩაუყარა საფუძველი და რითაც კომუნისტურმა პარტიამ თითქმის დღემდე მოიტანა თავი, მაგრამ ისიც მესმოდა, რომ ამ პრინციპის უარყოფის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დაპირისპირების დაძლევასა და ახალი კურსის ფორმირებაზე ლაპარაკი. შემდეგ ეს მასალაც გამოქვეყნდა, მაგრამ ეს ნაწილი მთლიანად გაზეთ „პრავდაში“ მესამე დღეს აღმოაჩინა ეგორ ლიგაჩოვმა სარატოვში, სადაც გამოვიდა აქტივის წინაშე და სასტიკად გაილაშქრა ამ დებულების წინააღმდეგ. მან თქვა, რომ კლასობრივი ბრძოლა იყო, არის და დარჩება კაცობრიობის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალადო. ფაქტობრივად, აქედან დაიწყო დაპირისპირება, რომელსაც ჰქვია ბრძოლა რეფორმატორებსა და

№173. შაბათი, 30 აგვისტო, 2014 წელი.

კონსერვატორებს შორის საბჭოთა კავშირში. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ თავად ზოგადკაცობრიულის პრიმატის დებულების ჩამოყალიბება ეკუთვნის გორბაჩოვს, იაკოვლევს და სხვებს. გორბაჩოვი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ამ პრინციპის რეალური განხორციელებისთვის საგარეო პოლიტიკას ჰქონოდა პარტიული მხარდაჭერა.

რადგან ის ეპოქა ვახსენეთ, ის დეტალიც მინდა, გავიხსენო, რომ, როცა ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი სიტყვა, აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა სტატიად ჩამოყალიბებული ეს გამოსვლა დაუგზავნა აშშ-ის ყველა საელჩოს, ყველა დაწესებულებას, და ამით აცნობა მათ, რომ მსოფლიოში რაღაც ხდება, რაღაც იცვლება და საჭიროა მისი სერიოზული ანალიზიო.

მერე მართლაც რაც მოხდა, საყოველთაოდ ცნობილია...

ხშირად გვეკითხებიან, როგორ გადაწყდა ბერლინის კედლის დანგრევის საკითხი ან ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის პრობლემა, როგორ მივიღეთ გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე, თუნდაც გერმანიის გაერთიანებაზე და ა. შ. მე მიმაჩნია, რომ სწორედ ეს იყო მსოფლმხედველობითი გარღვევა — დასაწყისი ახალი ერისა — ის, რასაც ხავერდოვან რევოლუციას და ცხოვრების ახალ წესზე გადასვლას ვუწოდებ.

მე მაინც ასე მიმაჩნია: რომ არ დაწყებულიყო ძირეული ძვრები თვით საბჭოთა კავშირში, შიგნით, არავინ იცის, დღეს კიდევ როგორი იქნებოდა მსოფლიო, თვით საბჭოთა კავშირში რა მოხდებოდა! ყველაფერი იმდენად მოძველებული და დახავსებული აღმოჩნდა, რომ რაღაც გარდაქმნა, რაღაც ძვრები აუცილებელი იყო. მე არ გამოვრიცხავ, ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეს იდეები, უკვე რომ ტრიალებდა ჰაერში, გარკვეული წლების შემდეგ ხელს შეუწყობდა დიდი სამოქალაქო ომის გაჩაღებას.

**გ. ჩ. — მაშინ იგი ხავეროვანი აღარ იქნებოდა.**

**ე. შ.** — რა თქმა უნდა, არავითარი ხავერდოვანი! ამას მოჰყვებოდა დიდი სისხლისღვრა, რომელსაც შეიძლება ნამდვილ მესამე მსოფლიო ომამდე მივეყვანეთ.

**გ. ჩ. — XX საუკუნეში 3-ჯერ მოხდა მსოფლიო მოწყობის გრანდიოზული ცვლილება: პირველი იყო 1917 წლის რუსეთის რევოლუცია, მეორე — მეორე მსოლფიო ომი (1939-45), მესამე — თანამედროვე ბიპოლარული სამყაროს დაშლა და ცივი ომის დამთავრება.**

**სამივე პროცესში მონაწილეობდნენ და ხშირად გადამწყვეტი როლიც შეასრულეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. ეს შემთხვევითობაა? თუ შეიძლება ვილაპარაკოთ XX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ ფენომენზე?**

**ე. შ.** — ალბათ, ღვთისგან მოცემული კანონი, რომ ქართველმა უნდა შეასრულოს მთავარი როლი პოლიტიკაში მსოფლიო მასშტაბით, არ არსებობს, მაგრამ რაღაც ფენომენი არის! მე არაერთხელ მითქვამს, ჩვენ ვერ მოვიცალეთ საიმისოდ, რომ ქართული ფენომენი შეგვესწავლა, ისევე, როგორც ყველა სხვა ერისა. ქართულს განსაკუთრებული შესწავლა უნდა. სულაც არ მეუხერხულება იმ იდეის ავტორობა, რომ გორში შეიქმნას თვით სტალინის ფენომენის შემსწავლელი ცენტრი, თუნდაც ჯერჯერობით სულ პატარა. თავისთავად არის ეს საინტერესო, უაღრესად საინტერესო ისტორიულად, რომელიც, ღმერთმა იცის, რას უქადის მომავალში თაობებს.

რაც შეეხება ბოლო რევოლუციას, ქართველი კაცის მონაწილეობა არც დავაკნინო მინდა და არც გადავაჭარბო. ეს ყველაფერი მაინც უნდა განვიხილოთ. მათ შორის ერთ-ერთია პირადად ჩემი როლი მსოფლმხედველობითი პროცესის გარღვევის აუცილებლობის თეორიულ მიგნებაში და შემდეგ პრაქტიკულად ხორცშესხმაში.

მინდა, გავიხსენო ერთი ასეთი შემთხვევა: უკვე საქართველოში ყოფნისას მომიწია ვიზიტად ჩასვლა ბერლინში იმანუილ კანტის პრემიის მისაღებად. ეს უმაღლესი პრესტიჟის პრემიაა. მისი გადმოცემის და მგზნებარე გამოსვლის შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელიც ბერლინის ბურგომისტრმა მოაწყო და სიტყვაც წარმოთქვა ხატოვანი, საინტერესო, რა თქმა უნდა, ქების და ხოტბის ელემენტებით შემკული. თქვენ ესწრებოდით ამ ცერემონიას და გემახსოვრებათ ბურგომისტრის ბოლო ფრაზა: ასე ინება განგებამ, რომ ერთმა ქართველმა გაყო გერმანია და მეორემ გააერთიანა. ჩემს გამოსვლაში მე ვთქვი ასეთი რამ: თქვენ, ცხადია, გადაჭარბებით შეაფასეთ ჩემი წვლილი ამ საქმეში, მაგრამ ისე, რომ იცოდეთ, ქართველების გარეშე დიდი პოლიტიკა არ იქმნება-მეთქი. მართლა ასე არ არის? ვინ იცის, მაგალითად, დავით აღმაშენებელი რომ წარმოვიდგინოთ გარდაქმნების ამ პირობებში, რას იზამდა ან როგორი იქნებოდნენ თამარი, ერეკლე...

**გ. ჩ. — რაც თქვენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაგნიშნეს, გყავდნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც ამბობდნენ, რომ თქვენ არ გქონდათ ამ თანამდებობის შესაფერი დიპლომატიური გამოცდილება. მაგრამ თქვენ გქონდათ გრანდიოზული გამოცდილება კრემლთან ურთიერთობისა. იქნებ შეადაროთ ერთმანეთს თქვენი ურთიერთობები კრემლთან და შემდგომ დასავლეთთან.**

**ე. შ.** — ეს ძალიან საინტერესო ვარიანტია საკითხის დაყენებისა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველ შეხვედრებს, სულაც არ გამჭირვებია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თვით საგანი შევისწავლე, მოლაპარაკებათა საგანი, ვთქვათ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის და ა. შ., მეტიც, ცოტა ხანში თითქოს საკუთარ სივრცეშიც ვგრძნობდი თავს.

**გ. ჩ. — ეს ჩანდა ყველაფერში.**

**ე. შ.** — დიახ, მეთვალყურეებიც ცნობენ ამას და ლიტერატურაც, რაც ჩემთვის ცნობილია, ამათვე აღიარებს. თქვენ სწორად შენიშნეთ, ყველაზე რთული იყო კრემლთან ურთიერთობის დიპლომატია და ეს არ იყო რთული იმ ხალხისთვის, ვისაც სხვა მიზანი არ გააჩნდა, გარდა იმ მიზნისა, რომელსაც პარტიის ყრილობა ან სხვა ცეკას პლენუმები აყალიბებდა. მაგრამ თუ შენ სხვა მიზანი გაქვს და გინდა რაღაცისთვის მზად იყო: გინდა, რომ ქვეყანა თავისუფლად აზროვნებდეს, პიროვნების თავისუფლების თუნდაც ნაწილობრივი პრინციპები ამოქმედდეს და ა.შ., იძულებული ხარ, შენი ტვინის ყველა უჯრედი აამუშაო და იფიქრო იმაზე, როგორ ააგო ურთიერთობა ყველასთან (მარტო გენერალური მდივანი ხომ არ იყო), როგორ უნდა შენიღბო ის, რასაც ჰქვია ჭეშმარიტი მიზანი, რომელიც მიმართულია უფრო შორეული მიზნებისაკენ და ცდილობ, არა თუ ხელი შეგიშალონ, პირიქით, დაგეხმარონ მუშაობაში. ეს იყო უზარმაზარი სკოლა. ჩემი დამოკიდებულება თითქმის ყველასთან ისეთი იყო, რომ უნდობლობას არ მიცხადებდნენ. ქვეყნის თვითონ პირველი პირებისა და ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელების დამოკიდებულება იყო ისეთი, რომ ფიქრობდნენ — შევარდნაძემ თავისი საქმე იცისო და ხელი არ შეუშალოთო. აი, ამის მოპოვება ჩემთვის იყო უზარმაზარი ხელოვნება, თუ რამე ამის მსგავსი არსებობს პოლიტიკაში. უფრო მარტივად, ეს იყო ხელოვნების მოშველიება პოლიტიკაში.

აი, მაგალითად, ბევრი რამ იცოდნენ ხელმძღვანელობის მაღალ ეშელონებში, ბევრ რამეს ამჩნევდნენ, განსაკუთრებით ფრთხილი და ფხიზელი იყო სუსლოვი და, როცა 1978 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღებისას დატრიალდა მოვლენები, ამის შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში უნდა განეხილათ ეს ამბავი; ყველაფერი სუსლოვს და კირილენკოს უნდა გადაეწყვიტათ.

ჩვენგან, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობიდან მე და გენადი კოლბინი ვესწრებოდით.



ედუარდ შევარდნაძე და ჰანს დიტრიხ გენშერი.

სუსლოვმა ძალიან დინჯად წაიყვანა სხდომა, მაგრამ სუსლოვსა და კირილენკოს როლები დანაწილებული ჰქონდათ. კირილენკოს ფრთხილი მიმოხილვა უნდა გაეკეთებინა, ხანდახან ახსენებდა ნაციონალიზმს (თავისი ხელით ჰქონდა დაწერილი). დაახლოებით ნახევარსაათიანი მოხსენებით გამოვიდა. იცავდა ყოველგვარ ტაქტს. მერე დაიწყო ჩვეულებრივი განხილვა და კირილენკო (რომელიც ჩვენთან წელიწადში 2-ჯერ ჩამოდიოდა დასასვენებლად და მეგობრულად იყო ჩემდამი განწყობილი), მეუბნება:ვსე это твои парткомы организовали, და ვინ იყვნენ ეს პარტკომები? ერთი ასეთი პარტკომი რისმაგ გორდეზიანი იყო. მართალია, სუსლოვმა ეს აღარ გაიმეორა, მაგრამ რადგან ითქვა, შენ ეს ხომ უნდა „გაითვალისწინო“. მთლად ისე არ გამოდიოდა, რასაც მე ვიტყოდი, ჭეშმარიტი სიმართლე რომ ყოფილიყო. მაგრამ ამავე დროს ერთგვარი ლავირება იყო საჭირო, იყო ხოტბის ელემენტებიც. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საკმაოდ კარგადაც ვიყენებდი. შემდეგ მოდიოდა ისეთი რამ, რის თქმასაც ზოგჯერ დისიდენტებიც ვერ ახერხებდნენ.

**გ. ჩ. — შეიძლება ითქვას, ეს ხოტბა ხარკი იყო...**

**ე. შ.** — ამავე დროს ხოტბის ელემენტი იყო ფსიქოლოგიური დაკვირვება ადამიანზე: რა იმუშავებს და რა მოხდება იქ, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ რაც შენ გაქვს ჩაფიქრებული, რაც მთავარი და აუცილებელია შენი ხალხისთვის, ის განახორციელო.

მე მგონი ერთ-ერთ გამოსვლაში ტრიბუნიდან ვიხმარე გამოთქმა — ეროვნული ენერგია. არ დაგავიწყდეთ, ეს ის ეპოქაა, როცა ლაპარაკია საერთო-სახალხო, ერთიან სახელმწიფოზე, რაღა საჭიროა რესპუბლიკებიო და სხვ. აი, ამ დროს ვიხმარე გამოთქმა, რომელიც ჩემთვის ძალზე მნიშვნელვანი იყო — ეროვნული ენერგია. მე ვთქვი, რომ ეს არის თანამედროვე უზარმაზარი ძალა. ეს რომ თავისთავად, ისე თქვა, შიშველად, მას ნაციონალისტური ელფერი ექნება, მაგრამ მე ვთქვი, რომ ის ძალა, რომელც ჩადებულია თითოეულ ადამიანში, ეს სოციალიზმმა უნდა გამოიყენოს თავისთვის-მეთქი. მაშინ მე მაინტერესებდა, მიხვდებოდნენ თუ არა ამას საქართველოში. როცა ჩამოვედი აქ, გაიმართა შეკრება და რამდენიმე კაცმა, მათ შორის ჯანსულ ჩარკვიანმა, იმ წუთში ახსენა „ეროვნული ენერგია“. ასევე რამდენიმე მეცნიერმა აიტაცა ეს ნათქვამი. იქ საჭირო იყო შენიღბვა, რომ მასში საშიში არაფერი დაენახათ, მაგრამ ჩემ ხალხს უნდა გაეგო, უნდა ეგრძნო, რომ ჩვენ მართლა გვქონდა ის ენერგია, მართლა ვიყავით უზარმაზარი პოტენციით დამუხტული.

საქართველოში ყველაზე დიდხანს ვმუშაობდი. 14 წელი უმაღლეს თანამდებობაზე და მანამდეც საკმაოდ მაღალი თანამდებობები მეკავა. ბევრი რამ, რაც მე შევძელი, დამოკიდებული იყო იმ ნდობაზე, რომელიც უნდა მომეხვეჭა. გახსოვთ, რა ამბავი ატყდა როცა ვთქვი ერთ შეხვედრაზე, მზე ჩრდილოეთიდან ამოდის-მეთქი.

მაშინ ამბობდნენ, ჩვენს ხელმძღვანელს დავიწყებია, საიდან ამოდის მზეო. ეს ნასესხები სიტყვებია, ეს სოლომონ ლიონიძის ფრაზაა და მაშინ წარმოთქვა, როცა ერეკლემ მიიღო რუსეთზე ორიენტირების გადაწყვეტილება. უნდა გითხრათ, ამ გადაწყვეტილებით ერეკლემ ფიზიკურად გადაარჩინა ქართველი ხალხი და მას არავითარი სხვა გზა არ ჰქონდა. გენიოსი მეფე იყო, უდავოდ, და, როცა ერეკლე დაიტირეს, სოლომონ ლიონიძის ერთ-ერთი ფრაზა ასეთი იყო (ეს ფრაზა ჩამეჭედა თავში) „შენ აირჩიე გზა ჩრდილოეთისა და მზე ჩრდილოეთისა“. არც მას უთქვამს უმიზნოდ, მასაც სჭირდებოდა, რომ იქ, შორეულ ჩრდილოეთში გაეგოთ, რომ ეს გულწრფელი ნაბიჯი იყო. ჩვენ მაშინაც ისეთ დროში ვცხოვრობდით, რომ ისეთი რამ უნდა თქმულიყო, დანარჩენს, რასაც ვაკეთებდით, ეჭვი არ გამოეწვია.

**გ. ჩ. — რამდენიმე სიტყვით დასავლელი კოლეგების შესახებ. ისინი თქვენ უფრო გენდობოდნენ, ვიდრე იმათ, ვისაც პროფესიული განათლება ჰქონდა მიღებული, ნახევარი ცხოვრება იქ ჰქონდათ გატარებული, შეთვისებული უნდა ჰქონოდათ მათთან ურთიეთრობა და კიდევ: თავად დასავლელ ლიდერებსაც ხომ არ უჭირდათ ახალი აზროვნების გაგება, ისინიც ხომ ბიპოლარული აზროვნების სივრცეში ჩამოყალიბდნენ.**

**ე. შ.** — თუ საბჭოთა კავშირში მჭირდებოდა მუდმივი ლავირება, მუდმივი ხოტბა და სხვა, დასავლეთში მქონდა აბსოლუტურად თავისუფალი ურთიერთობა, მე ასე ვიტყოდი — ხაზგასმულად პირდაპირი და ხაზგასმულად გულახდილი. არა მარტო მე, ისინიც ასევე იყვნენ განწყობილი და ამ გულახდილობამ და პირდაპირობამ დაამკვიდრა განსაკუთრებული ურთიერთობები და ჩამოაყალიბა ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორიც არის ნდობის ფაქტორი.

**გ. ჩ. — ამას არ დასჭირდა დიდი დრო?**

**ე. შ.** — არ დასჭირვებია. მე ჯერ კიდევ ჰელსინკში მიხვდი, რომ სხვა ხალხთან მქონდა საქმე. მე ვუთხარი შულცს, უკვე ჰელსინკში ვიგრძენი, რომ ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ-ჩვენი ხალხისთვის-მეთქი. ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და მართლაც არ გვიღალატია საქმისთვის. აი, ეს არის ნდობის ფაქტორი, ნდობა მათი მხრიდანაც და ჩვენგანაც. ეს ჩვენი უმთავრესი, ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია!

როცა იერუსალიმში შევხვდი შულცს, მან გაიხსენა ასეთი რამ: ეს „პერესტროიკის“ ჯერ კიდევ ადრეული პერიოდი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ყველა ბრუნვაში აბრუნებდნენ და ავღანეთის მიმართ აგრესორად მოიხსენიებდნენ, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. შენ მაშინ ვთქვი, რომ ჩვენ წავალთ ავღანეთიდანო. როგორც კი დამთავრდა შეხვედრა და როგორც კი გავაცილე, უმალვე შიდა ჩასასვლელიდან ჩავედი და თეთრ სახლში დავრეკე. რეიგანს ვუთხარი, ასეთი რამ თქვა შევარდნაძემ-მეთქი. რეიგანი ჩაფიქრდა და თქვა: კი მაგრამ, შეიძლება ნდობაო? მე ვუთხარი, შეიძლება, შეიძლება-მეთქი და მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა იყო, რომ მთელი იმ წლების განმავლობაში ერთმანეთი არ მოგვიტყუებია.

ეს გულახდილობა, გულწრფელი ურთიერთობები ბევრ რამეს განსაზღვრავდა. ჩვენ ასე ვამბობდით ხშირად: აი, ამის გაკეთება შემიძლია, ამის არა. მახსოვს ერთხელ, ურთულეს პრობლემას ვწყვეტდით, ცოტა რაღაც მე დავთმე, ცოტა შულცმა, მერე კიდევ და კიდევ მივუმატე და მითხრა — ჩემი უფლებები ამომეწურაო. მე დავიჯერე, ვიცოდი, რომ ეს მართალი იყო. ასევე იყო ბეიკერთან, სხვებთან.

**გ. ჩ. — მე კიდევ გკითხავთ, ხომ არ უჭირდათ ახალი აზროვნება-მეთქი...**

**ე. შ.** — ეს, რაც მე თქვენ გითხარით, ახალი აზროვნების ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ასე რომ, პირველ ხანებში მართლაც უკვირდათ და ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველაფერს, მაგრამ მერე და მერე, 5-6 წლის განმავლობაში, თითქმის ყველასთან, რაც კი ღირებული იყო მსოფლიო არენაზე, ყველასთან მქონდა კონტაქტი, ჰომეინის ჩათვლით.

ჩემთვის არ იყო ეს პრობლემა, ვინაიდან ახალი აზროვნების გამოვლინება, როგორც თქვენ ბრძანეთ, აი, ეს მეთოდი, ეს პრინციპი იყო ეს ის საუკუნეა, როცა ვეღარ მოატყუებ და ამის საფუძველი გახლდათ ის მსოფლმხედველობითი გარღვევა, რომელზეც მე ადრე მოგახსენეთ. ჩვენ უნდა შეგვექმნა ახალი ურთიერთობები, რაც ცოტა უჭირდათ.

**გ. ჩ. — ბოლო წლებში მე დავრწმუნდი, რომ თქვენ ძალიან გეგმაზომიერად მუშაობთ, ყოველთვის მიზანდასახული ხართ, არაფერს წყვეტთ სპონტანურად, გარდა ტაქტიკური ზოგიერთი ამოცანისა. მე აღფრთოვანებული ვარ, დასავლური დერეფნის იდეის თქვენი ინიციატივით. მაგრამ მე ამ საკითხზე არ ვამახვილებ ყურადღებას. მე მაინც მიზნისკენ სვლა მაინტერესებს. თქვენი ნაბიჯი აქაც და შემდგომშიც მიზნისკენ სვლის გეგმაზომიერი გადაწყვეტილება იყო?**

**ე. შ.** — ეს ყველაფერი, რაც მე ვთქვი, იმ პოლიტიური კურსის ნაწილია, რომელსაც დღეს ვადგავარ. ახლა ხანდახან ისე წერენ, გეტკინება გული. მაგალითად, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ბევრი უნდა ისწავლოს, პოლიტიკოსი რომ გახდეს, გამოვა ტრიბუნაზე და ხმამაღლა განაცხადებს — შევარდნაძეს კურსი არ გააჩნიაო, ჩვენ კი გვაქვს და ჩვენ ვიცით, რა არის ეს კურსიო. თუმცა, რა არის მათი კურსი, მე ჯერ არ გამიგია. ასეთი შემთხვევა ერთი და ორი არ არის.

როცა მე დავბრუნდი საქართველოში, როგორ შეიძლება, არ მცოდნოდა, რისი გაკეთება მინდოდა. ეს იყო რისკი, თავგანწირვა, მე მითქვამს კიდეც, რომ ნორმალურმა კაცმა შეიძლება ასეთი ნაბიჯი არ გადადგას. მაგრამ ეს სამშობლოა

იხ. 6 გვ.

# მსოფლიო ქარბუქების ერთ-ერთი

**(მეხუთე გვერდიდან)** და როცა სამშობლოზეა ლაპარაკი... ბატონმა ჯაბა იოსელიანმა დამირეკა და მითხრა, ეს ქართველი ინტელიგენციის აზრიაო. მისი აზრიც ასეთი იყო, კიტოვანისა და სიგუასიც და სხვების აზრიც.

სხვათა შორის, ბატონი ასლან აბაშიძე ორჯერ ჩამოვიდა ჩემთან და მითხრა, აუცილებელია თქვენი ჩამოსვლა საქართველოშიო. მაგრამ, როცა ჩამოვედი და ვნახე, მე ხომ არ ვიცოდი, რა ხდებოდა, ვინ ვინ იყო, მე ვიცოდი მხოლოდ გვარები, მათთან მუშაობის გამოცდილება არ მქონდა. მეუბნებოდნენ ჩემი კოლეგები, მათ შორის რუსებიც, როგორ არსებობ ასეთ პირობებში, შენ როგორ შეგიძლია იმუშაო ასეთ გარემოცვაში, როგორ შეგიძლია, აქ იყოო. სახელმწიფოს მართვის რეალური ბერკეტი რომ არა გვაქვს — არც ჯარი გყავს, არც პოლიციაა შენი, არც სხვა... მაგრამ მე როგორ შემეძლო არ ჩამომეყალიბებინა ჩემი კურსი: როგორ გამოვსულიყავით ამ ჯოჯოხეთიდან, როგორ გავსულიყავით სინათლეზე. როცა მე მივხვდი, რომ შეიძლება ხალხის გაყვანა, გასვლა მეორე მხარეს, საიდანაც სინათლე მოდის, აი, მაშინ ცოტა მეტი ძალა მომეცა, ამან გადამატანინა სამოქალაქო ომი, ამან გადამატანინა ის უზარმაზარი ტკივილი, რაც აფხაზეთის დაკარგვასთანაა დაკავშირებული, იმდენი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ ხალხმა...

მე მქონდა ჩემი კურსი და ჩემი მიზანი, გამოკვეთილი მიზანი. ისიც ვიცოდი, როდის შეიძლებოდა რომელიღაც შეიარაღებული ფორმირების ჩამოცილება და ხალხისთვის ამ ტვირთის მოცილება. ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა ერთ-ერთ გარკვეულ ეტაპზე, მეორე — მეორეზე, შემდეგ მესამეზე და ა. შ. ეს ყველაფერი კურსია, ცალკეული ტაქტიკური ნაბიჯები და სხვა საქმეა. კურსი, სტრატეგია — ეს ყველაფერი არსებობდა.

ვინ ლაპარაკობდა 1992-93 წლებში აბრეშუმის გზაზე?

სხვათა შორის, ეს თემა — ევრაზიის ერთიანი სივრცე, შეიძლება დერეფანი არც მითქვამს, პირველად 1989 წელს ვლადივოსტოკში ვახსენე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლისას, შემდეგ იყო ვიზიტი იაპონიაში. ჩემს ერთსაათიან გამოსვლაში სწორედ ეს თემები განვავითარე. ასე რომ, აქ კი არ შემითხზავს აბრეშუმის გზა და გამხსენებია ისტორიიდან, ვაჭრები რომ დადიოდნენ ამ გზაზე, მარტო ეს კი არ იყო, მე ვხედავდი აზიიდან დასავლეთისაკენ, ევროპისაკენ, მათ შორის კავკასიაზე მიმავალ დიდ ტრასებს და გზას, რომელიც გადიოდა ცენტრალურ აზიაზე. ეს არის ამ სფეროში სტრატეგიის განსაზღვრა, თუ გნებავთ, წინასწარი ხედვაც. უხერხულია, ამას რომ ვლაპარაკობ? შეიძლება უხერხულია. მაგრამ ასეა ეს. ის, რაც მაშინ ვთქვი, ვერ გაიგეს. დღეს ეს ხომ რეალობადაა ქცეული და, ფაქტობრივად, მომავლის კეთილდღეობისა და სიმდიდრის ერთი დიდი ელემენტია, თუნდაც უშიშროების გარანტი.

**გ. ჩ.– შეიძლება წარსულს დავუბრუნდეთ? ადრე თქვენ ლიბერალი იყავით. მიუხედავად იმისა, რომ ებრძოდით კორუფციას, თქვენ არ ატარებდით იდეოლგიური პრესის კურსს. საქართველო იყო ოაზისი, სადაც მხატვრული საშულებებით ყველაფრის თქმა შეიძლებოდა და კიდევაც ითქმებოდა. გავიხსენოთ კინემატოგრაფისტების ნაწარმოებები, თეატრალური დადგმები „ყვარყვარე“, „რიჩარდ III“, შატროვის სპექტაკლი ლენინზე. რომანები ჭილაძის, ამირეჯიბის, ფანჯიკიძის, და ბოლოს „მონანიება“, გარდაქმნის სიმბოლოდ რომ იქცა. მოსკოვში, რასაც ინტელექტუალები სამზარეულოში იტყოდნენ ხოლმე, თბილისში კათედრის სხდომაზე ითქმებოდა, ყოველ შემთხვევაში, ფილოსოფიის ინსტიტუტში ნამდვილად. რას ნიშნავს ეს?**

**ე. შ.** — მთელი გულწრფელობით მინდა, ვთქვა, რომ, როგორც უნდა თქვან, საბჭოთა სისტემა ტოტალიტარულია, დასაგმობია და ა. შ., ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ, გამიგეთ, იმ წლებით მე ვამაყობ. თქვენ მკითხეთ — მქონდა თუ არა კურსი, სტრატეგია, მიზანი — სწორედ იმ წლებში იყო ეს მიზანი, როცა ხედავ, რომ შეიძლება, გადაიჩეხო ან გადარჩე.

ჩემი უმთავრესი პრობლემა იყო, ერთგვარი არისტოკრატიის, ქართველი ინტელიგენციის, მეცნიერების, თუნდაც პარტიული ელიტის (მხედველობაში მყავანან მაშინდელი ხელმძღვანელები) შექმნა, რათა მარტო ერთ კაცზე არ ყოფილიყო დამოკიდებული კურსის გატარების ბედი.

ჩვენ მაშინ ეს შევძელით. შეიძლება ამას დაემთხვა ერთგვარი მობლაგვებული სიფხიზლეც დიდი მესვეურებისა.

**გ. ჩ. — სტაგნაციის გამო?**

**ე. შ.** — შეიძლება ეგეც, შეიძლება, უფრო წინა წლებში იმდენს არ გვაპატიებდნენ.

ვინ იყო თენგიზ აბულაძე! თენგიზ აბულაძე იყო დისიდენტი და არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით — თავისი აზროვნებით, შემოქმედებით, რეალური შედეგით. თქვენ წარმოგიდგენიათ იმაზე უფრო დიდი რამ ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგოდ, ვიდრე „მონანიება“?

მე თენგიზთან ვმეგობრობდი... ერთხელ მომიტანა სცენარი და მითხრა, ვიცი, რა თქმა უნდა, ამას არავინ გადაიღებს, მაგრამ მაინც წაიკითხეო. მეორე დღეს მოსკოვში მივდიოდი ჩემს მეუღლესთან ერთად და იქ გვიან ღამე დავიწყე კითხვა. ვიდრე ბოლომდე არ ჩავედი, ვერ მოვეშვი, მერე კი აღარ დამეძინა, რომ წარმოვიდგინე, რა იქნებოდა ეს, გადატანილი მხატვრული ხერხებით ეკრანზე.

დილით მეუღლეს ვუთხარი, წაიკითხე-მეთქი. მოვედი საღამოს სახლში და დამხვდა გონებაამღვრეული, თავადაც ხომ გადაიტანა ოჯახის დარბევა, რასაც მოჰყვა დედის, დის დაავადება... თბილისში რომ დავბრუნდით, მოვიწვიე თენგიზი და ვეუბნები: შენ არავითარი უფლება არა გაქვს, არ შექმნა ეს ფილმი. მართალია, პირობას ვერ მოგცემ, რომ ეკრანზე გავა, პირველი კაცი ვარ, მაგრამ მაინც... არც მოსკოვი მოგვცემს ამის უფლებას... მაგრამ შენ უნდა შექმნა ეს ფილმი! დაე, დაიდოს ის თაროზე. მოვა დრო, როცა ეს იქნება უნიკალური განძი მთელი ქართული ხელოვნებისა. და, მართლაც, უნდა ვთქვა ნუგზარ ფოფხაძის სასახელოდ, რომელიც მაშინ საქართველოს ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, რომ მოვძებნეთ ასეთი გზა; 600 ათასი მანეთი გამოვაყოფინეთ მთავრობას და მივეცით ტელევიზიას. ფოფხაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავის მოსკოველ ხელმძღვანელთან. იქ არც წაუკითხავთ, ისე დაამტკიცეს სცენარი, გადაღება კი ჩვენს კინოსტუდიაში დაიწყეს და 8 თვე თუ ერთი წელი მოანდომეს. როცა თენგიზმა ფილმი მაჩვენა, ეს მართლაც საოცრება იყო. მას მერე ცოტა კიდევ დაიხვეწა და როცა უნდა გადაწყვეტილიყო ამ ფილმის ჩვენების საკითხი, მე უკვე წასული ვიყავი საქართველოდან და დატრიალდა ის, რაც დატრიალდა — აკრძალვა და პარტიიდან გარიცხვა ხალხისა. მე არ მეგონა, რომ აქაურ ხელმძღვანელობას ეს ცენტრის პოლიტიკად მიაჩნდა. მერე რაც მოხდა და რა ბედიც ეწია ფილმს, დღის სინათლეზე რომ გასულიყო, ეს უკვე „პერესტროიკის“ წლებია...

**გ. ჩ. — მაინც ვინ გადაწყვიტა ფილმის გაშვების საკითხი?**

**ე. შ.** — გორბაჩოვიც მომხრე იყო, იაკოვლევიც, რა თქმა უნდა,



ედუარდ შევარდნაძე და ბილ კლინტონი.

მე თავისთავად. მაგრამ ყველაზე გადამწყვეტი სიტყვა თქვა ლიგაჩოვმა, როგორც უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ. მე მას ვთხოვე ენახა ფილმი.

ლიგაჩოვი რომ „პერესტროიკის“ ნაყოფი იყო კონსერვატიზმის თვალსაზრისით, ეს ცნობილია, და რამდენად ეჭვის თვალით უყურებდა ყველაფერს, რაც რესპუბლიკაში ხდებოდა, ესეც ცხადია. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მისი მეუღლის ოჯახსაც გადახდენია ის უბედურება, რაც ნანულის ოჯახმა გადაიტანა, და ერთად რომ ნახეს, მოხვდა გულზე და ვეღარ დამალა მან ის, რომ ფილმი აუცილებლად უნდა ეჩვენებინათ მაყურებლისთვის. ეს დიდი დაბრკოლებაც ასე გადავლახეთ. ალბათ, გახსოვთ, თუ ლიგაჩოვს „გადალახვადი“, გათავებული იყო საქმე.

ასე იყო, სხვათა შორის, „რიჩარდზეც“, აქ, საქართველოში, სადაც პირველი კაცი ვიყავი მე, ამის ჩვენება წარმოუდგენელიაო, ამბობდნენ... ანდა „ყვარყვარე“... რობერტ სტურუას ყვარყვარე! პირდაპირ ამბობდნენ, მხედველობაში ჰყავს ეს, და...

მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევა იყო ჩვენი ფილოსოფიური სკოლა. აზროვნების ცენტრების ჩაკვდომაზე იყო ლაპარაკი. აზროვნების ცენტრი მწერალთა კავშირთან, უნივერსიტეტთან და სხვასთან ერთად იყო ფილოსოფიის ინსტიტუტიც, სადაც მთელი რიგი ახალი მიმართულებები გამოიკვეთა — ქართული ფილოსოფიური სკოლა თავისი ყველა ატრიბუტით. განსაკუთრებული იყო კულტურის კვლევის სფერო, კულტურის ფენომენის ახლებური ხედვა, ბატონი ნიკო ჭავჭავაძე ედგა ამ კვლევას სათავეში. გაჩნდა ასეთი მიმართულება — ადამიანის, ადამიანის შესწავლის და ერქვა ანთროპოლოგიური მიმართულება, რომელსაც ანგია ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობდა და ძალიან სერიოზული ძალები იყო თავმოყრილი. მე ამას დამიდასტურებს ბატონ ნიკოს მოადგილე თაზო ბუაჩიძე. ატყდა მოსკოვში ერთი აურზაური იმის გამო, რაც აქ ხდებოდა ფილოსოფიაში. ეს იყო ის წმიდათაწმიდა, რაზეც აშენებულია სოციალისტური რეალიზმის ცნება. კომისია კომისიაზე იგზავნებოდა, რა ხდება თქვენთანო? თქვენ ვერ პატრონობთ, უნდა შეისწავლოთ თქვენ, უნდა მიხედოთ და სხვ. მაგრამ მე არ შემიძლია, სამართლიანი არ ვიყო. აქაც მწიფდებოდა ის აზრი, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტს რაღაც სჭირდებოდა. იმ მრავალრიცხოვან კომისიებში იყო ორი ახალგაზრდა კაცი (გვარები არ მახსოვს), რომლებიც ცალკე მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს, რომ თქვენ გაქვთ უნიკალური ფილოსოფიური სკოლა და თქვენ ვალდებული ხართ, თქვენი მდგომარეობა და მხარდაჭერა მოსკოვში გამოიყენოთ იმისათვის, რომ ეს სკოლა გადარჩეს. ამას მოსკოვში ჩვენ ვერ გავაკეთებთ, იქნებ თქვენ შეძლოთო. აქ დროის გაყვანა იყო საჭირო, შეიქმნა ბიუროს კომისია, 9 თვის განმავლობაში მუშაობდნენ, მოიტანეს რამდენიმე ტომი დასკვნა. ბიუროზე მე ვთქვი, რომ ჯერ მივალ ფილოსოფიის ინსტიტუტში და მერე მივიღოთ დადგენილება-მეთქი. განწყობილება ასეთი იყო: დირექტორი უნდა წავიდეს, მიმართულებები უნდა შეიცვალოს, დასაგმობი უნდა დაიგმოს. მოსკოვიდან ზოგიერთი ასეც ამბობდა: ეს რა ანთროპოლოგია შემოიღეთ... სახელი მაინც შეუცვალეთო (ლიბერალურად განწყობილი ადამიანები ამბოდნენ, ცხადია). ბიურო დილით 10 საათზე რომ დავიწყეთ, გვიან ღამით დავამთავრეთ. ესწრებოდნენ თაზო ბუაჩიძე, მერაბ მამარდაშვილი (რომელიც აქაც იყო და მოსკოვშიც, — ჩამოდიოდა ხოლმე), გელა ბანძელაძე და სხვები. ბოლოს მე ვუკარნახე სრულიად სხვა დადგენილება: დაევალოს ფილოსოფიის ინსტიტუტს, იხელმძღვანელოს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებით და, ბუნებრივია, არავითარი დახურვა და აკრძალვა. ის 9 თვე რომ მოვიგეთ, მერე იქ სხვა მოვლენები განვითარდა — კადრები გადაიყვან-გადმოიყვანეს. ერთი სიტყვით, ქართული ფილოსოფიური სკოლა გადარჩა. დღესაც მისი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

აი, ასე, მისხალ-მისხალ იქმნებოდა რესურსები, ინტელექტუალური რესურსები და ეს რესურსი იყო ქართული ინტელიგენცია, რომელიც საქართველოს სახეს წარმოადგენდა და დღესაც მწყობრშია. ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან, და იქ გაანათლოს უფალმა, მაგრამ ეს იყო უზარმაზარი მონაპოვარი. ეს იყო ნახტომი ახალ თვისებრიობაში და დღეს, ვისაც უნდა ჰკითხო, ვინც მართლა შემოქმედია, ეს იყო იდეალური დრო შემოქმედებისათვის.

უნდა გითხრათ, დიდი გულისტკივილი განვიცადე იმის გამო, რომ ეს რესურსი, რომელიც მზად იყო დამოუკიდებელი საქართველოსთვის, მისი მსოფლმხედველობის შექმნა-ჩამოყალიბებისთვის და სხვა, სამწუხაროდ, მერე, რადიკალურმა ფრთამ, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში და რომელსაც ბევრი რამ და მათ შორის სულიერი საერთო არაფერი ჰქონია ინტელიგენციასთან, უარყო, ფაქტობრივად, ეს უზარმაზარი მონაპოვარი, ნიჭიერება და მას კორუმპირებული, კრიმინალური ინტელიგენცია უწოდა. ბევრი შეეწირა ამ მოძრაობას და, სწორედ ამის გამო, საქართველოს განვითარება შეფერხდა.

საქართველოს შეეძლო, სისხლისღვრის და ომების გარეშე მისულიყო დამოუკიდებლობამდე, როგორც ეს შეძლეს უკრაინამ, ბელარუსიამ, ბალტიისპირეთმა, — იქაც იყო თავისუფლებისთვის მოძრაობა, მაგრამ სხვა ვითარებაში, ემოციების დათრგუნვის ვითარებაში. ისე, როგორც უზბეკეთი გახდა დამოუკიდებელი, ყაზახეთი, თურქმენეთი და სხვ. საქართველოს უპირატესობა ის იქნებოდა, რომ იგი მზად იყო ამისათვის.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ექსპერიმენტები. ეს არ იყო ჩამოყალიბებული კურსი? რაღაცისკენ მიმავალი? მე არ დამავიწყდება, გორბაჩოვი აბაშაში რომ ჩავიყვანეთ. გურამ მგელაძე და ბაკურ გულუა გვახლდნენ. ვიყავით ერთ ოჯახში (მაშინ ჩვენ მიწებს ვაძლევდით იჯარით, რამდენსაც დაამუშავებთ, აიღეთო, ვეუბნებოდით). ოჯახის წევრებს მეღორეობის ფერმა ჰქონდათ შექმნილი. დაპენტილი, თეთრი, დასუქებული ღორები ჰყავდა, ასე 60-70 მაინც.

მერე კოსიგინი ჩავიყვანეთ. მახსოვს, გორბაჩოვი მივიყვანე, გვარიც მახსოვს — ნადარეიშვილი იყო ერთი მოსახლე, ომის ინვალიდი, ცალფეხა კაცი — და მივადექით მის ეზოს. დიდი ეზო ჰქონდა, შევედით. ცხადია, გაფრთხილებული იყო, დაგვხვდა ყავარჯნიანი კაცი. მოლზე ბაგასავით არის მოწყობილი და, ალბათ, 30-მდე მეწველი ძროხა ჰყავს. ვისიაო, — იკითხა გორბაჩოვმა. ჩემიაო, — უპასუხა. ბავშვებით, შვილებით, შვილიშვილებით სავსეა ეზო... — კი, მაგრამ, ვინ უვლის ამასო, — იკითხა გორბაჩოვმა. მე ვუვლი და ესენი უვლიანო. არც ხელფასს ვუხდი და არც არაფერი მეხარჯებაო. ღმერთმა ააშენა ჩვენი მთავრობა, მიწა გამომიყვეს — კოლხეთში ჭაობი იყო და ახლა შესანიშნავი მოსავალი მოგვყავს. 30 ძროხა მყავს, პროდუქტს ვაბარებ სახელმწიფოს, ხელფასი არ მეხარჯება და იმდენი ფული მაქვს კიდევ 30 ძროხის ყიდვა შემიძლიაო. ფერმერი ვარო, კულაკი ვარო? თუ გინდათ, ჩამომართვითო!

გამოგვიტანა თითო ჭიქა არაყი, დავლიეთ. ჩავჯექით მანქანაში და გორბაჩოვი მეკითხება, ახლა რომ პოლიტბიუროზე დაგიძახონ, რას იტყვიო. ერთმა მოსკოველმა მითხრა, ვინც მარქსისტობაზე დებდა თავს: мясо хорошо, и кукуруза тоже нужна, но от марксизма уходить не нужно! მერე ეს ექსპერიმენტები ხომ მთელ ქვეყანას მოედო, მახსოვს როგორ გამოვგლიჯე ტიხონოვს ფოთის ექსპერიმენტის ნებართვა. ეს საბაზრო ეკონომიკა იყო, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და იქნებ ჯერ კიდევ არა ვართ მისული იმ დონესთან, რა დონეზეც ვიყავით მაშინ. მწყდება გული, ეს ყველაფერი რომ გაწყდა. რა მიზეზები იყო, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ ახსენეთ ოაზისი, მართლაც ოაზისივით იყო.

მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, ლამის დანაშაულად ითვლებოდა. პირველად საქართველოში დავიწყეთ ნარკომანიაზე საუბარი, ამ პრობლემის ლეგალიზაცია, საქართველომ დაიწყო ეს. რამდენჯერმე გამოგვიძახეს, დაგვტუქსეს ამის გამო, მაგრამ მაინც ვაგრძელებდით, არ ვანებებდით თავს. ასე რომ, ამ მხრივ მაშინ გაკეთდა იმაზე მეტი, რაც შესაძლებელი იყო, გაკეთდა იმის წყალობით, რომ გუნდს, რომელიც მაშინ ჩვენ გვერდით იყო, ინტელიგენციას ეს მიზანი ჰქონდა.

# მომთვინიერებელი

**გ. ჩ. – ინტელექტუალური თავისუფლების ფონზე დისიდენტების დევნა მაინც ხდებოდა და აი, ამაზე...**

**ე. შ.** – ძალიან სერიოზული საკითხია და მადლობა მინდა, გითხრათ, მე ვაპირებდი, ამაზე რაღაცა მეთქვა...

დისიდენტების დევნა, რა თქმა უნდა, ხდებოდა და, რა თქმა უნდა, ეს იყო საერთო-საკავშირო მოვლენა. აქაური სპეცსამსახურების წარმომადგენლებიც მუშაობდნენ ამ პრობლემაზე და ეს ყველასათვის ცნობილია. ისინი დღესაც არ უარყოფენ, ე. წ. V განყოფილება. ყველა დამწყები დისიდენტიც კი საგანგებო აღრიცხვაზე იყო მოსკოვში. მაგრამ კანონის ფარგლებში რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, იმის მაქსიმუმი კეთდებოდა. როცა იმ კანონს გადააბიჯებდი და პირდაპირ ანტისაბჭოთა, ხელისუფლების დამხობის მოწოდებით გამოხვიდოდი, ამას, რა თქმა უნდა, არ გაპატიებდნენ და, სამწუხაროდ, ასეც ხდებოდა... მე ვთქვი, ვინ იყო ნამდვილი დისიდენტი: თენგიზ აბულაძე, ჭაბუა ამირეჯიბი – პირდაპირი გაგებითაც და მერე, როცა დაბრუნდა და დაწერა თავისი დიდი რომანი, კლასიკოს-დისიდენტი იყო და მასაც შეუძლია იამაყოს... ძალიან განვიცდი, მაშინ ბევრი დავიჭირეთ – კოსტავა, გამსახურდია, თამარ ჩხეიძე და სხვები.

მაგრამ ამავე დროს მე ასეთი რამეც მახსოვს. როცა თამრიკო ჩხეიძე გაასამართლეს, მამამისი რეზო ჩხეიძე კინოსტუდიის დირექტორი იყო, ძალიან კარგი დირექტორი. გამოძახებული იყო ბიუროზე, რომელსაც მე ვატარებდი. 3 საათის განმავლობაში მარტო თვითონ პასუხობდა შეკითხვებს. თქვენ გახსოვთ, ცეკას მეორე მდივანი განსაკუთრებული რანგი იყო მაშინ – რუსეთის თვალი და ყური – და მოთხოვნა იყო, რომ რეზო უნდა გათავისუფლდეს კინოსტუდიიდანო. კბილებით დავიცავი! ის კი არა, პარტიიდან გარიცხვასაც უპირებდნენ. გავაკეთე, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, რისიც არ შეიძლებოდა – არ გაკეთდა. ეს იქნებოდა დონკიხოტობა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ინტელექტუალური რესურსის მომზადება იყო მთავარი და არა პლაკატით ქუჩაში გამოსვლა. იმ დროს ეს ნაადრევი იყო. თუ მართლა გაიხედავთ შორს, უნდა დაგენახა ადამიანს ის, რაც ჩვენ დავინახეთ 1985 წელს, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. მე და გორბაჩოვმა ვილაპარაკეთ მაშინ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ, ადრე თუ გვიან, სულ სხვა დრო დადგებოდა.

**გ. ჩ. – თუ ცხოვრებას დავინახავთ, როგორც სიბნელისა და სიკეთის ბრძოლას, თქვენ ყოველთვის სინათლის მხარეს იყავით. თქვენ ებრძოდით შეუწყნარებლობას, ბოროტებას, დოგმატიზმს. მხარს უჭერდით იდეებს, ნიჭიერებას. მოსკოვში, როდესაც გადადექით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, თქვენ შექმენით საზოგადოებრივი მოძრაობა, რათა მხარი დაგეჭირათ დემოკრატიისათვის.**

**სიბნელე და სინათლე ერთმანეთს რეალურად შეეჯახა და ეს მოხდა 1991 წლის აგვისტოს, მოსკოვის პუტჩის დროს, და, სრულიად ბუნებრივია, თქვენ იდექით სინათლის მხარეს, დემოკრატიის მხარეზე და ГКЧП-ს წინააღმდეგ. როგორც აკეთებდით ამ არჩევანს, ანალიზის გზით თუ ინტუიციით?**

**ე. შ.** – გმადლობთ, რომ გაიხსენეთ ჩემი გადადგომის მომენტი და შემდგომი მოვლენები. ეს უნიკალური და მძლავრი ორგანიზაცია იყო, რომლეიც მე და რამდენიმე ჩემმა თანამოაზრემ – იაკოვლევმა (ისიც გადამდგარი იყო მაშინ), ლუჟკოვმა (დღეს არ ვიცი როგორ აზროვნებს, მაშინ დემოკრატიის მხარეზე იყო), სობჩაკმა, პოპოვმა და სხვებმა დავაარსეთ.

კომუნისტური პარტიის შემდეგ ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო, იმიტომ, რომ მთელი ნაღები რუსეთისა ჩვენთან იყო. ელცინი ძალიან თანაუგრძნობდა მას, სპეციალურად უთხრა რუცკოის, რომელიც მაშინ მისი მოადგილე იყო, – შენ დაუკავშირდი მათ და, თუ მოისურვებენ, გამგეობაშიც შედი და მიიღე მონაწილეობაო – ეს დემოკრაატიის საყრდენი უნდა იყოსო. უნდა გითხრათ, რომ პუტჩი იყო 19 აგვისტოს, 18 აგვისტოს კი გამგეობის გაფართოებული სხდომა გვქონდა. ამ სხდომის მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი მე ვიყავი და ჩვენ მივიღეთ დოკუმენტი, რომ, აი, დიქტატურა საფრთხე კი აღარ არის, არამედ რეალობაა, ხვალ, ზეგ გამოსვლები დაიწყება. ეს იყო 2-3-გვერდიანი მიმართვა რუსეთის ხალხისა და დემოკრატებისადმი. სამწუხაროდ, მაშინ ყურადღება არ მოგვაქციეს. ამას რატომ ვამბობ? აი, ის, იგივე ჩემი გადადგომის ამბავიც. ეს ხომ არ შეიძლება სპონტანურად მოხდეს, ვთქვათ, ამოდენა პოსტი კაცმა დატოვო და არავინ გკითხოს, რა მოხდაო? ანალიზი უნდოდა ამას. ეს ყველაფერი, ჯერ ერთი, ინფორმაციაა და მერე ანალიზი გიჩვენებს, თუ რა ხდება ქვეყანაზე, ვინ როგორ გამოდის, ვის რა პოსტი უკავია. პირად ურთიერთობებსაც ჰქონდა მნიშვნელობა ჩემდამი დამოკიდებულებაში, იაკოვლევის და სხვების და სხვების მიმართ. ყველაფერი ეს იმას მიუთითებდა, რომ მწიფდებოდა რაღაც მძიმე ამბავი, და ვინ იცის, რომ ის გადადგომა არა, რომ ის გაფრთხილება არა, რომელიც 18 აგვისტოს გამოქვეყნდა, რომ კიდევ შემდეგ ცოტა გორბაჩოვის გამოფხიზლებაც არა, – როგორ წავიდოდა საქმე, შეიძლება, სულ სხვანაირად დამთავრებულიყო ყველაფერი.

**გ. ჩ. – სავსებით შესაძლებელი იყო.**

**ე. შ.** – სავსებით! 19 აგვისტოს ღამეს, როდესაც თეთრი სახლის ეზოში მივედი, როცა სროლები ატყდა (იქვე ახლოს ვცხოვრობდი), მაშინ, მახსოვს, ათასობით ადამიანი ჰყავდათ შემოკრებილი, ეს ხალხი მზად იყო დემოკრატიის დასაცავად, მთელი ამოდენა მასა ყვიროდა: შევარდნაძე ჩვენთანაა და ა. შ. ყვიროდნენ არა მარტო ჩემზე, არამედ ელცინზეც და სხვებზეც.

**გ. ჩ. – 1995 წლის 29 აგვისტოს თქვენ წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ, მოგეხსენებათ, ჩვენ ვთხოვეთ ამერიკელ ექსპერტებს, გამოეკვლიათ ეს აქტი. მე მაშინ ვესაუბრე აფეთქებისა და ბალისტიკის ექსპერტს და მან მითხრა: გადარჩენის შანსი ასეთი აფეთქების შემთხვევაში დაახლოებით ათასში ერთი იყოო. ჟურნალ „ტაიმში" როცა დაიწერა რეპორტაჟი ამ აფეთქების თაობაზე, სიუჟეტი ასე იყო დასათაურებული: „მამაცებს ღმერთი სწყალობს". ჩემი შეითხვა ასეთია: როგორ მიგაჩნიათ, ცხოვრება ჭადრაკია, სადაც კარგი მოთამაშე მთლიანად განაგებს თავის ბედს? თუ მაინც კარგი მოთამაშე ყოველთვის ისე იგებს, როგორც ნარდში, სადაც ზოგჯერ აუცილებელია, შაშიც მოგივიდეს?**

**ე. შ.** – ცოტა ძნელია შედარება. როცა ამას ამბობ, ალბათ, პოლიტიკოსზე უნდა იყოს ლაპარაკი. ერთი პოლიტიკოსის მოქმედების ხასიათი შეიძლება შეადარო მეორე პოლიტიკოსისას. მე წელან ვლაპარაკობდი ანალიზზე, მაინც ეს არის, ალბათ, პოლიტიკოსის უნარი და ინტელექტუალური შესაძლებლობები. იმიტომ, რომ თავისთავად ანალიზი არაფერს ნიშნავს. ინტელექტი საჭიროა იმისთვის, რომ მას მოჰყვეს შესაბამისი დასკვნა. ამ დასკვნის მიღების პერიოდში კი ძალიან მნიშვნელოვანია ინტუიცია. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც



სტუმრად ვატიკანში, რომის პაპთან იოანე პავლე მეორესთან

ერთიც და მეორეც კარგად აქვთ შერწყმული, ასეთია, მაგალითად, რეიგანი. ის ინტუიციის კაცია. ვერ ვიტყვი, ძალიან განათლებულია-მეთქი, მაგრამ ინტუიციის კაცი კი არის.

ახლა, თვალსაჩინოებისთვის თუ რამეს უნდა შეადარო პოლიტიკოსის მოღვაწეობა, ალბათ, მაინც ჭადრაკს, რადგან თუ ფლობ იმას, რასაც ჰქვია ანალიზის უნარი, თუ გაქვს ინტელექტუალური შესაძლებლობები და თუ ინტუიციაც არ გღალატობს, – ასეთი რამ კი ხდება ცხოვრებაში, – მაშინ შაში თავისთავად ჯდება.

**გ. ჩ. – ეს იმას ნიშნავს, რომ შაში მაინც ჯდება, თუ სწორად თამაშობ! ახლა ცოტა სხვა სახის კითხვა: მონარქს ან რომელიმე ავტოკრატს ყოველთვის ესაჭიროება რაღაც ინსტიტუციონალური დაპირისპირება, ვთქვათ, პარლამენტი, თავისუფალი პრესა, საკონსტიტუციო სასამართლო, რადგანაც მონარქს, რაგინდ პატიოსანიც უნდა იყოს იგი, მაინც, რაღაც სიტუაციაში, როცა გადის დრო, შეიძლება გაუჩნდეს ისეთი ცდუნება, რომ ბოროტად გამოიყენოს თავისი ძალაუფლება. თქვენ ხართ ის პიროვნება, ვინც იმოღვაწა ორსავე სისტემაში – ავტოკრატულ-ტოტალიტარულშიც და დემოკრატიულშიც.**

**მითხარით, ჯერ ერთი, ეთანხმებით თუ არა ჩერჩილს, როცა ამბობდა, რომ დემოკრატია მართვის ძალიან ცუდი ფორმაა, მაგრამ სხვა უკეთესი არ არსებობს; და მეორეც – თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, რომ საქართველოში ეს დემოკრატიული კურსი გადაგეყვანათ განათლებული დიქტატორის რეჟიმზე, ამას ხალხიც მიესალმებოდა, რადგან მას სჭირდებოდა არსებული ბანდიტიზმის ალაგმვა, ისინი აუცილებლად მიესალმებოდნენ ამ რეჟიმს და თქვენც ადვილად განახორციელებდით მას. სხვათა შორის, წესრიგი დემოკრატიული გზითაც დამყარდა, მაგრამ შეგეძლოთ კიდევ უფრო ადრე დაგემყარებინათ იგი. მითხარით, არასდროს გიფიქრიათ, გადასულიყავით იმ სისტემაზე?**

**ე. შ..** – მუშაობის, ცხოვრების, დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება ჩემში არ მომხდარა „პერესტროიკის" შემდეგ, ანდა „პერესტროიკასთან" დაკავშირებით.

ის, რაზეც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით, ე. წ. ინტელექტუალური რესურსი – როდის იყო ეს რესურსი საჭირო ქვეყნისთვის, რომელსაც უნდოდა, ყოფილიყო თავისუფალი და დემოკრატიული, თავისუფლების, პიროვნების თავისუფლების ელემენტარული პრინციპი და სხვა – აი, იქიდან მოყოლებული.

თანდათანობით ხდებოდა მსოფლმხედველობის შეცვლა – ყველაზე ძნელი რევოლუცია, რაც ხდება ადამიანის გონებაში. ეს არაერთხელ მითქვამს. ცდუნება იმისა, რომ, რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მოიხვეჭო, ძალიან დიდია და ძნელია, შეაგონო შენი თავიც, მაგრამ აქ ისევ ის მშველოდა, რომ მიზანი მქონდა! საქართველო ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მას დიქტატორი სჭირდებოდა და მე ვხედავდი ამას. მე რომ ამეღო მთელი ძალაუფლება ხელში, იქნებ ბევრი უბედურება აგვეცდინა კიდეც თავიდან. მაგრამ აი, იმ საბოლოო მიზნამდე ჩვენ ძალიან გრძელი გზით მივაღწევდით. მაგალითად, პინოჩეტმა მოაკვლევინა ალიენდე, გაანადგურა ყველაფერი დემოკრატიული, ხელში აიღო ძალაუფლება და 9-10 წელიწადში ააყვავა ქვეყანა. ის განათლებული დიქტატორი იყო, მაგრამ მაინც დიქტატორი, მან მოკლა ადამიანი, ცნობილი დემოკრატი ალიენდე და... აიღო ძალაუფლება, მერე კი, როცა ასაკში შევიდა, დათმო ძალაუფლება და ახლა ჩილეში დემოკრატიული წყობაა.

**გ. ჩ. – მან გლუვი გადასვლა გააკეთა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში შესაძლოა, მერე გლუვი გადასვლა აღარ მომხდარიყო.**

**ე. შ.** – მე მოვითხოვე, თუ გახსოვთ, ის მინიმუმი, რაც აუცილებელი იყო სახელმწიფოს მართვისთვის. მაშინდელი პარლამენტის სასარგებლოდ უნდა ვთქვა: მან გაიგო, რომ ძალაუფლების გარეშე ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდებოდა, მაგრამ მე არ გადავლახე ზღვარი, რომელიც უგულებელყოფს, უარყოფს დემოკრატიას და დემოკრატიულ პრინციპს. ჩვენ ავირჩიეთ ის გზა, რომელიც ყველაზე ძნელია, მაგრამ რომელიც ყველაზე მოკლეა კეთილდღეობამდე და საბოლოო ნაოცნებ საზოგადოებამდე სავალად, თუ ასეთი სიტყვა შეიძლება იხმარო. ასე რომ, მე მქონდა საშუალება, ვყოფილიყავი განათლებული დიქტატორი, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი და ხშირად კიდეც მეუბნებიან, რა მოგივიდა, მაშინ ხომ მაგარი ხელი გქონდაო...

მახსოვს, მაშინ ჯაბა იოსელიანი ჩემს გვერდით მუშაობდა და მეუბნებოდა, ცოტა მოუჭირე ხელი, ასე არ შეიძლებაო. ერთხელ ოთარ ლაზიშვილი (ჩვენ ახლა კარგი ურთიერთობა გვაქვს, ადრე კი ის დავაპატიმრეთ) მისულა ჯაბასთან და შეუჩივლია: რა მოხდა, კაცო, მე დამიჭირა და თვითონ გამოსწორდაო? მაგრამ პროგრესი და წინსვლა უნდა ხდებოდეს არა ერთი კაცის, ერთი პიროვნების, არამედ მთელი ხალხის აზროვნებაში. ხალხიც უნდა ხედავდეს, რა შეიძლება და რა – არა. რას შეიძლება შეეგუო და რას არა, აი, ამ რთული გზით, დემოკრატიის გზით მივდივართ.

დემოკრატია ძალაუფლების სისტემაა, სადაც საკმაოდ დიდი უფლებები აქვს არა მარტო პარლამენტს – კოლექტიურ ორგანოს, არამედ თვით პრეზიდენტსაც. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტს აქვს ეს ძალაუფლება და მათ შორის ერთგვარი ნიველირება ხდება. აი, ეს გზა ავირჩიეთ ჩვენც.

გ. ჩ. – რეფორმებმა ძალიან სერიოზული შედეგები გამოიღო, უწინარეს ყოვლისა, ახალი ინსტიტუტების მშენებლობაში. თუ ლიბერალური დემოკრატიზმის ადრინდელი იდეოლოგიით, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი დაცული უნდა ყოფილიყო, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტირანიისგან და ეს იყო მათი იდეალი, ახლა თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ საქართვლეოში ადამიანი დღეს უფროა დაცული სახელმწიფო ტირანიისაგან, ვიდრე 15 წლის წინათ. სახელმწიფო ტირანიისაგან შეუძლია იხსნას დემოკრატიულმა სისტემამ. დღეს ადამიანი ძალიან სუსტადაა დაცული სოციალურად, მაგრამ ის პირველი იდეალი ლიბერალური დემოკრატიისა საქართველოში განხორციელდა.

საქართველოში რეფორმებმა შექმნეს აგრეთვე ძალიან კარგი ეკონომიკური ფონი და, თუ ასე გაგრძელდა, საქართველო რამდენიმე წელიწადში ძალიან სერიოზული წარმატების მქონე ქვეყანა იქნება.

როგორ მიგაჩნიათ, ამ ტენდენციებს შეუძლია რამემ შეუშალოს ხელი? და თუ რამემ შეიძლება შეუშალოს ხელი, რა იქნება ეს? ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მარტო შინაგანი ფაქტორები, არამედ გარე ფაქტორებიც.

ე. შ. – მინდა, ცოტა დავაზუსტო, ჩვენ მაინც შევძელით რაღაცის გაკეთება. იმ ძველმა, ისეთი ჭრელი შემადგენლობის პარლამენტმაც ბევრი გააკეთა თვით კონსტიტუციის მიღებით იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესი ამაღლდა ყოველგვარ პარტიულზე, ყოველგვარ კერძო ინტერესებზე და დღეს არსებული მდგომარეობა მე მიმაჩნია უნიკალურად. უნიკალურად მიმაჩნია ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი 2 წლის წვალების და, ჩემი მომხრეების, მოწინააღმდეგეების და ყველასი ერთად, ერთობლივი მუშაობის და კონსენსუსის შედეგი. კონსტიტუციამ მოგვცა ისეთი სისტემის შექმნის საშუალება, როცა ვერც პრეზიდენტი გამოიყენებს ბოროტად თავის ძალაუფლებას (ვერ უნდა გამოიყენოს, შესაძლებელიც რომ იყოს) და ვერც პარლამენტი, ასე ვთქვათ, დაიხვევს თითზე პრეზიდენტს და იმსახურებს თავის ნებაზე. საოცარი გაწონასწორებულობაა, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა აშშ-ში.

**გ. ჩ. – დასავლელი ექსპერტების აზრი გაწონასწორებულობის შესახებ ისეთია, რომ ყველა ახალ სახელმწიფოთა შორის საქართველოში ეს ყველაზე დაბალანსებულია.**

**ე. შ..** – მე მგონია, რომ ამ ეტაპისთვის უნიკალური მდგომარეობაა. ჩვენ ძალიან მოკლე დროში შევძელით, შეგვექმნა სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზა, ურთულესი, დიდი მოცულობის, რომელსაც ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი აქვს. ეს პარლამენტის დამსახურებაა, პრეზიდენტის დამსახურებაცაა. ჩემი ინიციატივით არის შესული კანონთა 80 პროცენტზე მეტი.

ყველა ფუძემდებლური კოდექსი, სამოქალაქო სამართლის ჩათვლით მიღებულია რაღაც 1-1,5 წელიწადში. პარლამენტმა შესძლო, შეესრულებინა კოლოსალური სამუშაო. მაგრამ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ჩვენ სწორად გავთვალეთ თავის დროზე, რომ შეგვექმნა პარტია, რომელიც პრე-

იხ. 8 გვ.

(მეშვიდე გვერდიდან)

ზიდენტის, მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის მხარდამჭერი იქნებოდა. ეს იყო აბსოლუტურად სწორი, მე ვიტყოდი, იდეალურად სწორი ნაბიჯი. შეიძლება თვითონ პარტია ვერ არის დღეს ის იდეალი, რომელიც წარმოგვედგინა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ მჯერა, რომ იქნება – ჯერ ახალგაზარდები არიან. მე მინდა, ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ უმრავლესობის გარეშე თანამშრომლობა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის არ იქნებოდა ის, რაც ასეთ ნაყოფს მოგვცემდა. ძველი სისტემის დემონტაჟი ხომ ფაქტობრივად დამთავრდა. ახლა სასამართლო რეფორმაა დღის წესრიგში, შემოდგომაზე ჩვენ ადგილობრივი მმართველობის პრობლემებს მოვაგვარებთ. არჩევნები, დანიშვნები აბსოლუტურად დემოკრატიული იქნება, ისევ კონსენსუსის საფუძველზე. უმრავლესობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამის მესამედს ვერ გავაკეთებდით. უმრავლესობა მაინც საფუძველია იმისა, რომ პარლამენტი და პრეზიდენტი თანამშრომლობენ. მე მხოლოდ 5-ჯერ დამჭირდა ვეტოს უფლების გამოყენება და პარლამენტმა ხუთჯერვე გაიზიარა ჩემი მოსაზრება.

კიდევ რომ განმეორდეს 29 აგვისტოს მსგავსი რაღაც, სახელმწიფო უკვე ისეთ საფუძველზე უნდა იდგეს, რომ მას პოლიტიკური წყობის შეცვლა და სისტემის შეცვლა არ მოჰყვეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოუვა აშშ-ს, სუსტი პრეზიდენტი რომ აირჩიოს. არაფერი!

**გ. ჩ. – ჰყოლიათ კიდეც ძალიან სუსტი პრეზიდენტები...**

**ე. შ.** – ზოგი ძალიერი იყო ძალიან, ზოგი – შეიძლება შედარებით სუსტი, ქვეყანა კი დარჩა ქვეყნად, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო კლიმატს.

**გ. ჩ. – რა შეიძლება ჩაერიოს ჩვენს, აი, ამ სვლაში?**

**ე. შ.** – ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერ ერთი, თუ ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღვადგინეთ. მაგრამ მე მწამს და მჯერა, რომ ჩვენ ამას მივაღწევთ, ყველაფერი მიდის იქითკენ. ძალიან გვიჭირს, დავტანჯეთ ჩვენი თანამოძმეები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, მაგრამ დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს... მეორე საფრთხე სოციალური პრობლემაა. ულრმესი მადლობის გრძნობით მინდა, ვთქვა, რომ ჩვენმა ხალხმა მოითმინა მოუთმენელი, შეძლო შეუძლებელი, გაჭირვება ლამის სიკვდილის დონეზე – სიცოცხლესა და სიკვდილს შორის რომ ჭიდილია, ასეთ დონეზე ითმინა ხალხმა. დღეს ცოტა მოვსულიერდით. მაგრამ, თუ ეს მდგომარეობა ძალიან გაგრძელდა, გაიჭიმა, მაშინ მოსალოდნელია (ამას უკვე არც პარტიები სჭირდება და არც არაფერი), რომ მოხდება წინააღმდეგობა სტიქიურად. ის პარტიები, რომლებიც ამ მეთოდს მიმართავენ, თუ შეუძლიათ, გამოიყენონ ეს ჩვენი დღევანდელი ნაკლები შესაძლებლობები იმისათვის, რომ ხალხს დავეხმაროთ, არ იქცევიან სერიოზულად. მაგრამ რასაც ისინი ეწევიან, ეს სოციალური დემაგოგიაა.

მაგრამ იმედი არის – ჩვენ ავიღეთ საჭირო ტემპები, ჩვენი ხალხის მხარდაჭერის და ნიჭიერების წყალობით, ბიზნესი ათვისებულია. საბაზრო ეკონომიკა თქვენ გესმით, რა არის და 2 წლის განმავლობაში 22-პროცენტიანი ზრდა, დაბალი ინფლაცია, მყარი ვალუტა და სხვა. ეს პროცესი შეუქცევადია.

თუ შეიცვლება გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ვთქვათ, ისეთნაირად, რომ საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება... მთელი ამ წლების განმავლობაში მე ისევ ვუბრუნდები კურსის არსებობას: რა იყო ჩვენი მიზანი – შეგვექმნა ხელსაყრელი გარემო იმისათვის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ვაშენებთ თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწფოს. და ჩვენ შევქმენით ეს უმოკლეს დროში, რაღაც 2-3 წელიწადში, ისეთი, როცა საქართველო აღიარებულია, როგორც ძალიან სწრაფად განვითარებადი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დემოკრატიულ პრინციპებს, ინსტიტუტებს არა მარტო აღიარებენ, არამედ სახელმძღვანელო პრინციპია და სახელმწიფო იცავს სახელმწიფო უფლებებს და კვლავაც დაიცავს. ამის რწმენა განუმტკიცდა ყველას.

ვფიქრობ, ეს ძირითადი კომპონენტებია იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ ბრძანეთ და კიდევ ერთი: ჩვენ უნდა შევძლოთ, არ მივცეთ დესტრუქციულ ძალებს იმის საშუალება, რომ რაღაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ ადამიანების გრძნობებზე და დროებითი სიძნელეები გამოიყენონ თავიანთი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოში ყოველთვის ბევრი იყო და არც ახლაა ცოტა. პარლამენტი, კონსტიტუციური სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ინსტიტუტი, სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ კანონის ფარგლებში უნდა იდგნენ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე.

**გ. ჩ. – თქვენ სკეპტიკოსი ნამდვილად არა ხართ, ეს მეტად მნიშვნელოვანი რამ არის, თქვენ გწამთ ყოველთვის, რომ ყველა ძალისხმევას მოსდევს ადეკვატური შედეგი, რომ ძალისხმევა ტყუილად არ იკარგება. ამიტომაც ძალას არასდროს იშურებთ და ყოველთვის მაქსიმალურ შედეგს აღწევთ. მაგრამ არის სიტუაციები, სადაც უკვე აღარაფერია პრაქტიკულად შესაძლებელი. ბოლო წლების განმავლობაში მე მხოლოდ ერთხელ გავიგონე თქვენგან, უფრო სწორად, თქვენს ინტონაციაში და ნათქვამში დავიჭირე უიმედობის ნოტი. ეს იყო სოხუმის დაცემის წინა დღე. მე დაგირეკეთ და ის, რაც თქვენ თქვით, ისე ჟღერდა, რომ მივხვდი – იქ უკვე აღარაფერი იყო შესაძლებელი.**

**ეს იყო პირველი და უკანასკნელი, ასეთი რამ მე თქვენგან არასდროს გამიგონია, ე. ი. არ ყოფილა სიტუაცია, სადაც რაღაცის გაკეთების შესაძლებლობა არ ყოფილიყო და, აი, ის იყო ერთადერთი. საერთოდ, გთხოვთ, მითხრათ, რა იყო ეს ომი – შეცდომა?**

**ე. შ.** – რა თქმა უნდა. მე მითქვამს და ახლაც, ალბათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ამაზე ითქვას. მე ისეთ პირობებში ჩამოვედი და ისეთ პირობებში დაიწყო ე. წ. ოპერაცია, რომლის მიზანიც სულ სხვა რამ იყო და, თქვენ გახსოვთ ჩემი გამოსვლიდან რამდენიმე ფრაგმენტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სამი პუნქტი იქნება, სამი ხაზი, სადაც სამხედროები განლაგდებიან, რომლებსაც ეკრძალებათ ქალაქში შესვლა. მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, რეალური მითითება. დანარჩენი, მე არც ჯარი მემორჩილებოდა, არც პოლიცია და მე არ ვიყავი მხედართმთავარი. მიუხედავად იმისა, რომ მე სოხუმში შესვლა ავკრძალე, 2 თუ 3 დღის შემდეგ უჩემოდ მიიღეს გადაწყვეტილება და შეჯირითდნენ სოხუმში. ეს იყო ჩემი უდიდესი შეცდომა. ჩემი შეცდომა და ჩემი ცოდვა ისაა, რომ ვერ შევძელი, თავიდან ამეცილებინა ეს ამბავი. მე ბევრს ვფიქრობ ახლაც... მაშინ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ე. წ. პრეზიდიუმზე, რომ უნდა ჩასულიყო თავდაცვის მინისტრი, კიდევ რამდენიმე კაცი და მათთან ერთად უნდა განგვეხორციელებინა რკინიგზის დაცვა. აი, ეს არ შესრულდა. ახლა ვფიქრობ, ეს რომ არ მომხდარიყო, ალბათ, მე უნდა ჩავსულიყავი სოხუმში. მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონით ველაპარაკე, ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაინც უნდა ჩავსულიყავი, შევხვედროდი, მე უნდა დაველაპარაკებოდი, ყველაფერი მე უნდა შემეთანხმებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხდება, უამრავი საქმე გამიჩნდა, თანაც ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ ჩავლენ, ჩვენს გადაწყვეტილებას გააცნობენ და ა. შ. და, აი, ამან გამოიწვია ეს ტრაგედია.

# მსოფლიო ქარბუქების ერთ-ერთი მომთვინიერებელი



ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი.

აფხაზები კი ემზადებოდნენ... შეიძლება სხვა მიზეზთან დაკავშირებით მაინც ეჩინა თავი სეპარატისტულ მოძრაობას, აგრესიულ სეპარატიზმს, რომელიც ათეული წლების მანძილზე მწიფდებოდა, მათ შორის ყალიბდებოდა შეიარაღებული ფორმირებები. მაგრამ ჩვენი მხრივ მაინც უნდა გაკეთებულიყო მაქსიმუმი იმისათვის, რომ საკუთარ ქვეყანაში ომი არ დაწყებულიყო.

სოხუმში ჩემი სკეპტიციზმი, რომელიც, თქვენ როგორც მითხარით, ამოიკითხეთ ჩემს ტონალობაში, ეს იყო უმაღლეს საბჭოში კოლესნიკოვის გამოსვლიდან მესამე დღეს, სადაც მან თქვა, რომ სამი დღის შემდეგ სოხუმი დაეცემაო. იმ კაცის, როგორც სამხედროს, ბიოგრაფიაში ყველაზე დიდი წარმატება სოხუმი იყო. მე ვიცოდი, რა ძალები იდგა იქ და ამიტომაც მქონდა ასეთი განწყობა და არა იმის გამო, რომ მეშინოდა...

ახლა მეორე მაგალითს გეტყვით, ძალიან საინტერესოს, რომელიც არ იცის საზოგადოებამ.

როცა გაგრის დატოვების პრობლემა იდგა, ჩავფრინდი განთიადში. გია ყარყარაშვილი მეთაურობდა მაშინ. 800-900 კაცი იყო ჩვენთან და ვცდილობდით, როგორმე ეს კვანძი არ დაგვეთმო და საღამომდე იქ ვიყავი. გაფრენის უფლება რუსებისაგან უნდა მიმეღო. გენერალმა კონდრატიევმა, რომელიც გუდაუთში იჯდა, არ მომცა უფლება, მაგრამ მე მაინც გავფრინდი. ერთ შვეულმფრენში მე ვიჯექი, მეორე გვერდით მომყვებოდა, როგორც მოდარაჯე; საჭირო ზომების მიღების შემდეგ საღამოხანს ვბრუნდებოდით. უცებ ჩვენ მოგვიახლოვდა სულ სხვა შვეულმფრენი, რომელიც შეძვრა ჩვენი შვეულმფრენის ქვეშ და უცებ ჩავარდა (ამას მე ვერ ვხედავდი, მერე ამიხსნეს). წარმოიქმნა ხელოვნური ორმო. ეს ცნობილი მეთოდი ყოფილა, როცა შვეულმფრენი ხელოვნურ ორმოს წარმოქმნის, თვითონ გაფრინდება, მეორე, მომდევნო კი – ჩავარდება ორმოში და... რაღა იყო დარჩენილი, წყალში ჩაძირვა. მაგრამ ეს მოდარაჯე შვეულმფრენის პილოტმა მაისურაძემ (თუ არ ვცდები, ის შემდეგ დაიღუპა, ძალიან გამოცდილი მფრინავი იყო) სასწრაფოდ გადმოსცა ჩვენს პილოტს, ახლავე აიღე სიმაღლე და რაც შეგიძლია ზევით, სხვაგვარად დაიღუპებითო. მართლაც, ისეთი სისწრაფით აიჭრა ზევით ჩვენი მფრინავი, ისეთი მკვეთრი მოძრაობა იყო, ისეთი სასტიკი, რომ ყველაფერი შეზანზარდა და ბიჭები, რომლებიც მე მახლდნენ – დაცვა, კორესპონდენტები და სხვები, – უცებ შვეულმფრენის ძირზე აღმოჩნდნენ.

მე თითქოს რაღაც მიკარნახებდა, შენ უნდა შეძლო, არ უნდა გაინძრეო. მაგრამ, როგორი საქმეა, ამხელა, ჯანღონით სავსე ბიჭები ვერ იმაგრებენ თავს, მე კი ვდგავარ და ვუყურებ. მართლაც არც გავნძრეულვარ, ვითომ არაფერი მომხდარიყო. თურმე, ჩვენი შვეულმფრენის ჩამოგდება, ეს ტერორისტული აქტი, გადაწყვეტილი იყო. ვიღაცამ ჩაიფიქრა ეს, კონდრატიევმა თუ ვიღაც სხვამ... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი გადარჩენა, ალბათ, უზენაესის ნება იყო. მხოლოდ უზენაესს შეუძლია შთაგაგონოს, რომ ახლა, თუ შენს განცდებს, ემოციებს ვერ მოთოკავ, არა მარტო თავს დაიღუპავ, არამედ შეიძლება სხვებიც გაწიროო. ხანდახან ვამბობ, რომ მთლად ნორმალური არ არის, ადამიანს შიშის გრძნობა რომ არა აქვს. ერთადერთი რამის მეშინია – ახლობელ ადამიანს რაღაც არ მოუვიდეს.

**გ. ჩ. – დღეს თქვენ 70 წელი შეგისრულდათ. ამ შემთხვევაში მიღებულია მილოცვა. რა უნდა ვუსურვო პრეზიდენტს? უნდა გითხრათ, გამიჭირდა მოფიქრება. მართლაც, ყველაფრით ხართ დაჯილდოებული. მერე ვიფიქრე, ერთადერთი, რაც ყოველთვის შეიძლება უსურვო კაცს, ჯანმრთელობაა. თქვენ სათვალე არ გჭირდებათ, კბილი პირველად მხოლოდ შარშან აგტკივდათ. ფორუმებზე რომ დავდივართ და იქ გრძელი დერეფნებია გასავლელი, ვერავინ გეწევით. გარდა ამისა, ერთი სცენა მინდა, გავიხსენო. უმაღლესი სტანდარტის ამერიკულ საავადმყოფოში, საპრეზიდენტო ჰოსპიტალში, სადაც თქვენ ამერიკის პრეზიდენტის წინადადებით ჯანმრთელობის გამოსაკვლევად იმყოფებოდით, უნდა ენახათ, თუ გქონდათ რაიმე დაზიანება ტერორისტული აქტის შემდეგ.**

**თქვენ არ გინახავთ ეს სცენა, რადგან უმაღლესი ტექნოლოგიური დანადგარების მეორე მხარეს, რაღაც აპარატში იმყოფებოდით. აქეთ მხარეს ვიდექით მე და რამდენიმე ექიმი, რომლებიც მონიტორებში აკვირდებოდნენ თქვენი ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებას. ამ დროს გამოჩნდა ერთი საკმაოდ ცნობილი ექიმი, რომელიც მოგვიახლოვდა და, რადგან არ იცოდა, რა ხდებოდა, მონიტორს შეხედა და იკითხა, ვინ არის ეს პაციენტიო.**

**– შევარდნაძე, – უპასუხეს.**

**– შეუძლებელია, რა ხნისაა შევარდნაძე?**

**– 69 წლის.**

**– ვერ დავიჯერებ. ეს არის 40 წლის კაცის ტვინი, რადგან არც ერთი დაზიანება, ნაწიბური ამ ტვინს არა აქვს!**

**მიუხედავად ასეთი სამედიცინო ანკეტისა, მე მაინც გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ბოლო შეკითხვა კი ასეთია: თქვენი 70 წლის იუბილე მარტო ამ გადაცემით შემოიფარგლება, თუ არის კიდევ სხვა რამ პროგრამაში?**

**ე. შ.** – ჯერ იმას გეტყვით, ამერიკაში რატომ დაისვა ჩემი ჯანმრთელობის შემოწმების საკითხი. აქ ექიმებს იმის შიში გაუჩნდათ, რომ მართლაც არაჩვეულებრივი და საშინელი აფეთქების შემდეგ, ხომ არ მოხდა სისხლძარღვებში რამეო. ამის რაღაც ნიშნები თითქოს იყო და ამიტომაც დავთანხმდი ექიმებს, რომ გამევლო ეს შემოწმება. აღმოჩნდა, რომ ტვინიც ნორმალურ მდგომარეობაში იყო და სისხლძარღვებიც. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რა თქმა უნდა.

ახლა სანამ დავამთავრებდე და ვიტყოდე, კიდევ რას ვაპირებ 70 წლისთავთან დაკავშირებით, არ შემიძლია, არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა ჩემს ოჯახზე. 70 წელი, მართალია, ბევრი წვალების, განცდის, ტანჯვის წლები იყო, მაგრამ ბევრი სიხარულიც ახლდა მას. მე ვალდებული ვარ, უბრალოდ ვახსენო ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც ჩემთან ერთად მოისმენენ ამ გადაცემას. ოჯახი, რაღაც საფარივით არის ადამიანისთვის, ჩემთვისაც ასევე საჭირო იყო ამ წლების განმავლობაში, და იმ ატმოსფერომ, ჩემს ოჯახში რომ სუფევდა, გამაძლებინა აქამდე. ჩემს მეუღლეს სხვა მიზანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ჩემთვის შეეწყო ხელი, მხოლოდ ჩემთვის. შვილების გაზრდის ტვირთიც თვითონ იკისრა. დღესაც მხარში მიდგას. სიმართლე რომ გითხრათ, აი, ამ ატმოსფერომ მიხსნა. სხვა შემთხვევაში, იმას, რაც მე გადავიტანე, კაცი ვერ გადაიტანდა.

გარდა ამისა, მე დღეს არ შემიძლია, არ მივმართო დიდი მადლიერებით (გვარებს არ დავასახელებ იმიტომ, რომ ყველას როგორ მოვიცავ) ყველას, ვინც ძველად და ახლაც მხარში მიდგას და ჩემს თანამოაზრედ ითვლება. მე არ შემიძლია, მადლობის სიტყვები არ ვუთხრა ოპონენტებსაც, რომელთა შენიშვნებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, და, რაც მთავარია, მადლობის სიტყვებით არ მივმართო მთელ საქართველოს, გაუსაძლისს რომ გაუძლო, განსაკუთრებით ლტოლვილებს. მათ წინაშე ყველაზე მეტად განვიცდი სინდისის ქენჯნას...

ახლა რაც შეეხება ჩემს პროგრამას, თუ რას ვაპირებ. ქალაქიდან უნდა „გავიპარო“, არავის შეწუხება არ მინდა, ერთადერთი, რაც ვერ შევძელი, ეს ის იყო, რომ ვერ შევძელი დამერწმუნებინა ჩემი მეგობარი ჰეიდარ ალიევი, არ ჩამოსულიყო თბილისში. რომ ამიკრძალო, მაინც ჩამოვალო, მითხრა. ასე რომ, ამის გარდა სხვა ღონისძიებები დაგეგმილი არ არის. შეიძლება დიპლომატიური კორპუსი მოვიდეს, მერე კი „გავიპარები“ ქალაქიდან, მაგრამ დავბრუნდები აუცილებლად.

**გ. ჩ. – დიდი მადლობა.**

**ე. შ.** – მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გაუძლებს, შეძლებს ჩვენს მოსმენას, რადგან ძალიან გრძელი გამოვიდა ჩვენი საუბარი. ზოგი რამ დღეს აქ ისეთი ითქვა, რომელიც შეიძლება მომავალ თაობებს დასჭირდეთ. და რადგან ასაკი დააყენეთ თქვენ დღის წესრიგში, მინდა, ერთი რამ დავამატო. ამას წინათ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, უცხოელი კორესპონდენტი მეკითხებოდა, რომელი ასაკი მიგაჩნიათ ყველაზე უფრო ნაყოფიერად და შედეგიანად პოლიტიკოსისათვისო. მე ვუთხარი, რა თქმა უნდა, 70 წელი-მეთქი.

ასე რომ, იმ იმედით, რომ ჯერ კიდევ ძარღვებში სისხლი დუღს, როგორც თქვენ თქვით, ტვინიც თავის ადგილზეა, ალბათ, კიდევ შევძლებ, ვემსახურო ჩემს ხალხს, რაც ჩემს ძალებს არ აღემატება და მოვესწრები იმ დღეს, რომ საქართველოს მთლიანობა აღვადგინოთ და საქართველო აყვავებული ქვეყანა გახდება. ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით.

**გ. ჩ. – უდიდესი მადლობა.**

◉ გამგონი გაიგებს

# გულის ჯავრმა მათქმევინა

## დასისხლული საქართველო

სიცრუეა, აღარ მჯერა, აღარ მჯერა,
სამოთხის და ედემისა,
აღარ ძალმიძს ჩაღამებულ თვალთა ცქერა,
შვილჩახოცილ დედებისა.

ვით შევიძლო, რომ ეს ტანჯვა გავანელო,
სულჩაკლული ვიარები,
ისე მტკივა დასისხლული საქართველო,
როგორც ქრისტეს იარები.

## თქვენ გეტირებათ დედა!

თქვენს ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს,
მკვლელებო შვილთა ჩვენთა,
ჩვენ ხომ გვიტირეთ, მაგრამ იცოდეთ,
თქვენც გეტირებათ დედა!

ამდენი სისხლი, ცრემლი და გლოვა,
ვის შერჩენია ნეტა,
განკითხვის ჟამით უთუოდ მოვა,
თქვენც გეტირებათ დედა!

* * *

არც სირცხვილი, არცრა გრძნობა,
შუბლის ძარღვიც გაიწყვიტეთ,
თუ გსურთ რამე თანაგრძნობა,
ენა მაინც ჩაიწყვიტეთ!

* * *

საქართველო დაიღალა ლოდინში,
ერთხელ მაინც მოგეხადათ ბოდიში,
მაგრამ თქვენ ეს ნაღდად გაგიჭირდებათ,
რადგან ამას ვაჟკაცობა სჭირდება.

## რებუსი?

თუ რუსეთის აგენტია
ეს ოხერი სააკაო,
ამერიკა რად მფარველობს,
ლამის შეძრა სააქაო?

ნუთუ მართლა რებუსია,
ვინ ჩვენია ვინ სხვისაო —
ვინ რუსეთის აგენტია
ვინ კი — ამერიკისაო?

* * *

ალბათ, თვითონაც ცოდვა ემართათ,
რომ აკრიახდნენ მიშას მსტოვრები,
მაშ რად „აეწვათ“, რა დაემართათ,
რამ შეაშფოთა სენატორები?!

* * *

ვგონებ, მიშა დროზე რომ არ გავაშავეთ,
დავაშავეთ, აშკარაა დავაშავეთ,
მაგრამ მჯერა, ბოლოს მაინც გაშავდება,
სად, სად წავა, მარსზე ხომ არ წაშავდება?

* * *

ვალერი კვარაცხელია,
ვგონებ სიმართლეს ღაღადებს,
ზოგი კი ისე ბნელია...
ლამის „ხალხის მტრად“ დახატეს.

მზეო, ამოდი, ამოდი,
შენ მაინც ნუ იმალები,
იქნებ ზოგ თვალებდაბინდულს
შენ აუხილო თვალები!

## თქვენი გაკვეთილი

თაქთაქიძე თქვენი გაკვეთილია,
რომ როგორმე ჩაიხედოთ სარკეში,
თქვენ კი მზად ხართ, ისევ მოკლათ ილია,
სიმართლე რომ მოგახალათ სახეში.

თვალს აგელვებთ მტაცებლური შუქითა,
მომხვდურს ჰგახვართ, ქართველებზე დაგეშილთ,
გიჭირთ, მაგრამ გადარჩენაც თუ გინდათ,
ერთხელ მაინც ჩაიხედეთ სარკეში.

## ნაგვის ურნასთან!

ნაგვის ურნასთან ხალხის რიგი დგას,
თვალები მტკივა ამის ყურებით,
ეგ თავი ღლონტის ღორს რომ მიგიგავს,
იქ უნდა ეგდოს თავის ყურებით.

ამ ყოფას შენიც ატყვია „ღვაწლი“,
დაგბედებოდეს შენ ეგ ურნები,
ვით დაგებედა სიხარბე, ღვარძლი,
და ეგ ცინიზმი განუკურნები.

## აფსუს!

აფსუს, დიდგორში აბჯარასხმული
დიდი მეფე და სარდალი,
დღეს კი დიღომში თავლაფდასხმული,
სხვა საქართველო სად არი!

## გამოცდილება გვკარნახობს

ქვეყნის „მაღალი პირები“
არ უნდა იყვნენ ძვირები,
არც კომიკური გმირები,
არც მაოხარი გზირები.

ქვეყნის „მაღალი პირები“
სჯობს, იყვნენ სიტყვაძვირები
და ყალბი დანაპირებით
არ შეირცხვინონ ცხვირები!

## „კაზანტიპმა“ სულზე მოუსწროთ

ჩვენმა „სვეტმა“ გოგონებმა,
ლამის სულ მთლად გაიხადეს,
„ზემელი“ და „რუსთაველი“
პოდიუმად გაიხადეს.

არც დედ-მამის ეყურებათ,
არც ბებია-ბაბუასი,
გული მტკივა, როცა მესმის:
„თბილისელი პაპუასი“!

* * *

ყველა ყრუ და ყველა ცრუა,
სწორად უთქვამს დიდ ილიას,
გაუმარჯოს „გიჟ-ვრაცუა“
ქართველების იდილიას!

## პენსიონერის გულისწყრომა

ვეკითხები, ჩვენს დაცინვას ვინც კარგა ხნით
აპირებს,
ამას ჰქვია ქვეყნის წინსვლა, მიღწევა?
აბა, როგორ არ ვაგინო სულწაწყმედილ ამ პირებს,
არ ეღირსოთ პენსიამდე მიღწევა!

**გურამ ჭავჭანიძე.**

◉ ვითხოვ სიტყვას!

# ქვეყნის დამაქცევარი რეფორმები

**...ნაციონალები და მათი სისხლის სამართლის დამნაშავე „ფიურერი“ თავს იწონებენ, რომ საქართველოს ბიუჯეტი 11-ჯერ გაზარდეს.**

**სხვა ქვეყნებში ბიუჯეტს ზრდიან ახალი პროდუქციის გამოშვებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, წარმოებაში ახალი, მეცნიერული მიღწევების დანერგვით, რითაც ბიუჯეტთან ერთად იზრდება ქვეყნის ეროვნული შემოსავალი და ხალხის კეთილდღეობა.**

ნაციონალებმა და მათმა თავმჯდომარემ ბიუჯეტი გაზარდეს სახელმწიფო, ე. ი. სახალხო საკუთრების (ძირითადი საწარმოო დანიშნულების ობიექტების) გაყიდვით, საზღვარგარეთიდან (ბანკებიდან) დიდი ოდენობით სესხის აღებით, ქვეყანაში სამუშაო ადგილების გაუქმებით, სამამულო წარმოების მოსპობით და დაბალი ხარისხის, უცნაური, იაფფასიანი პროდუქციის შემოტანით და მისი განბაჟებით. ყველას გვახსოვს ნაციონალების „ეკონომიკური პოლიტიკა“: შემოვა უცხოელი ინვესტორი, იყიდის ქართულ მიწას, ქარხანას, ჰესს... მიწაზე მოაწყობს რაიმე მეურნეობას და ჩვენს ხალხს სამარცხვინო ხელფასით „დაასაქმებს“, ჰესზე და ქარხანაში მოახდენს ტექნიკურ გადაიარაღებას და მცირე გადასახადს გადაუხდის ბიუჯეტს...

კანონი პრივატიზაციის შესახებ ითვალისწინებდა მხოლოდ წამგებიანი საწარმოების განსახელმწიფოებრიობას, ასეთ საწარმოს თუ იყიდდა ბიზნესმენი, მას აუცილებლად უნდა ჩაედო ფულადი სახსრები და განეხორციელებინა ტექნიკური გადაიარაღება, რომ საწარმოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია გამოეშვა. ნაციონალებმა პრივატიზაციას დაუქვემდებარეს მომგებიანი ობიექტები: ოფშერულ ზონაში დაფუძნებულ შპს-ებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აიძულებდნენ, აეღოთ სესხები, აძლევდნენ მათ მომგებიან ობიექტებს, ხოლო „ატკატიზის“ და სხვა სერიოზულ სახსრებსაც ითვისებდნენ ნაციონალთა ჩინოსნები.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, არც დაუმალავს, რომ იგი მხოლოდ თავისი და ნაციონალების სასარგებლოდ ეკონომიკურ პოლიტიკას გაატარებდა: **„ვისაც საქართველოში რაიმეს აშენება სურს, ჯერ დააფუძნოს პარტია, გაიმარჯვოს არჩევნებში და მერე რაც უნდა ის ააშენოს“**.

დღეს პარლამენტის ნაციონალური უმცირესობა ამტკიცებს, რომ მათ შექმნეს სახელმწიფო სტრუქტურები (ორგანიზაციები), ჯარი და პოლიცია.

როგორი ბრძოლისუნარიანი ჯარიც შექმნეს, ხომ გამოჩნდა რუსეთ-საქართველოს ომში? რუსეთის ტანკები ისე შემოგრიალდნენ გორში და იგოეთში, რომ არსად არ შეხვედრიათ, თუნდაც ერთი დანაღმული ველი, ხოლო თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები გორის საწყობებში ჰქონდათ გადამალული, რადგან მათი გამოყენება არავინ არ იცოდა.

სააკაშვილი და კეზერაშვილი ხომ გარეგნულად და ფსიქიკურად ნამდვილ გენერლებს და მხედართმთავრებს გვანან! მართლაცდა, ვაი, ჩვენს პატრონს!

გამაოგნებელია ის, რომ ნაციონალებმა კონტროლის პალატის მოშლის შემდეგ მთლიანად გააუქმეს სახელმწიფო ორგანიზაციებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, რის გამოც ორგანიზაციების თანამშრომლები როგორც სურდათ, ისე იღებდნენ ხელფასებს, პრემიებს, დანამატებს და სხვა სახსრებს...

გერქვას მმართველი პარტია და ასეთი განუკითხაობა დაუშვა ქვეყანაში? — ეს ხომ ყოვლად დაუშვებელია!

ყოველივე ამის საფუძველზეა, ალბათ, ხალხში გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილი განიხილება როგორც ქვეყნის დამაქცევარი, ხოლო საზღვარგარეთ, „მეგობარი“ სახელმწიფოების პრეზიდენტებისა და სულთნებისთვის, როგორც „სუმბული“.

ვერავინ ვერ გაიხსენებს თუნდაც ერთ ნაციონალურ „რეფორმას, რომლებიც ნაკარნახევი იქნებოდა ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესებით.

ამიტომაც არიან ნაციონალები ქვეყნის დამაქცევრები, პირწავარდნილი მოღალატეები!

**ნუგზარ კოზახიძე,**
**ბოლნისი-თბილისი.**

## დედამიწის ზურგზე



**კანადისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობებმა გაეროში ერთმანეთში გაცვალეს „გეოგრაფიული წერა-კითხვის უცოდინარობა“**

კანადელებმა გამოაქვეყნეს რუკა რუსი სამხედროებისთვის, სადაც თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები, თუ სად არის „რუსეთი“ და სად „არ არის რუსეთი“. რუსი დიპლომატები არ დაეთანხმნენ, რომ ყირიმი მიკუთვნებულია უკრაინის ტერიტორიისთვის, ამავე დროს შეახსენეს, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი — სუვერენული სახელმწიფოებია. პიკირება მოხდა რუსეთს ფედერაციიდან მედესანტეების „დაბნეულობის“ ისტორიის ფონზე.

* * *

**გაეროს მოხსენება: უკრაინის აღმოსავლეთში ერთი თვის ბრძოლის შედეგად 1,2 ათას კაცზე მეტი დაიღუპა**

გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს რიგით მეხუთე მოხსენებაში განიხილება დროის მონაკვეთი 16 ივლისიდან 17 აგვისტომდე. აღინიშნება, რომ „უკრაინელ სამხედროებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის დაღუპვაზე“. გაერო ასევე მოითხოვს კიევისაგან გამოიკვლიონ ცნობები გატაცებისა და წამების შესახებ.

* * *

**პოროშენკო ობამას ვაშინგტონში 18 სექტემბერს შეხვდება**

თეთრ სახლში აღნიშნავენ, რომ პოროშენკოს ვიზიტი მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას უკრაინისათვის დემოკრატიის, დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის გზაზე.

* * *



**„ნასას“ ტელესკოპი რეალურ დროში ადევნებს თვალყურს დედამიწის ტიპის პლანეტის ჩამოყალიბებაზე ახალგაზრდა ვარსკვლავის მახლობლად**

ტელესკოპმა დააფიქსირა მტვრის ამოფრქვევა ახალგაზრდა ვარსკვლავის მახლობლად, რაც შეიძლება ორი ასტეროიდის შეტაკების შედეგი იყოს. ასეთმა შეტაკებებმა საბოლოოდ შეიძლება ახალი პლანეტის წარმოქმნასთან მიგვიყვანოს.

* * *

**ისლანდიასა და პაპუა-ახალ გვინეაში დაიწყო ვულკანების ამოფრქვევა. ავიამიმოსვლებს საფრთხე შეექმნა.**

ვულკანების ამოფრქვევებმა, რომლებიც ერთდროულად დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში მოხდა, უკვე გამოიწვია ავიარეისების გაუქმება ისლანდიასა და ოკეანიაში. ისლანდიის ბარდარბუნგის ფერფლი კვირის ბოლოს შეიძლება დასავლეთ ატლანტიკამდე მივიდეს, გვაფრთხილებენ მეტეოროლოგები. პაპუა-ახალ გვინიაში მიმდინარეობს მოსახლეობის ევაკუაცია. ვულკანის ამოფრქვევა მიმდინარეობს ახალი ბრიტანიის კუნძულზე.



◉ კალათბურთი

# ვიცინოთ თუ ვიტიროთ?




**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ზედიზედ მესამედ ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც გაისად გაიმართება. თუ სად, ამას 8 სექტემბერს შევიტყობთ, როცა მომავალი ფორუმის ორგანიზატორი ქვეყანა გაირკვევა.**

შეგახსენებთ, რომ „ევრობასკეტ – 2015“-ისთვის უკრაინას უნდა ემასპინძლა, მაგრამ იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო ფიბა-ს სათადარიგო ვარიანტის ძიებაზე მოუწია ზრუნვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჯვაროსნებმა“ საკვალიფიკაციო რაუნდის დასკვნითი ტურის მატჩი უპრობლემოდ მოუგეს პორტუგალიელებს – 71:59. შეხვედრის გმირებმა ვიქტორ სანიკიძემ და ზაზა ფაჩულიამ პარტნიორებს, შესაბამისად, 20 და 17 ქულა შესძინეს. სხვათა შორის, ჩვენი გუნდის კაპიტანმა პირადი მონაგარი 10 მოხსნითა და 9 შედეგიანი გადაცემით გაიმდიდრა, რითაც სამმაგ დუბლამდე 1 ზუსტი პასი დააკლდა.

გამარჯვება, რასაკვირველია, სათანადო აღნიშვნას მოითხოვს, მაგრამ ის ეიფორია, რომელმაც ბრძოლის დასრულების შემდეგ თბილისის სპორტის სასახლე მოიცვა, ძნელად ასახსნელი გახლდათ, რადგან ჯერაც არ იყო დასრულებული ჩვენი უშუალო კონკურენტების – უნგრეთისა და ჩეხეთის უმნიშვნელოვანესი დუელი, ხოლო სხვა ჯგუფების ის მატჩები, რომელთა შედეგებსაც თეორიულად შეეძლო თამაშგარე მდგომარეობაში დავეტოვებინეთ, უფრო გვიან იწყებოდა.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, თუმცა მთლად საზეიმოდ რომ არ გვქონია საქმე, შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დადასტურდა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით გამოცხადდა და საგანგებო განცხადებაც გააკეთა. მართლაც, როცა სუპერლიგაში ჯერჯერობით მხოლოდ 2 კლუბია უზრუნველყოფილი დაფინანსებით და მთავრობა კვლავაც ფუჭი დაპირებებით კვებავს ქართული კალათბურთის ინფრასტრუქტურის განვითარების მსურველთ, ძნელია ნაკრების მომავალი ნათელ ფერებში წარმოვიდგინოთ.

დიახ, რომელ ყურადღებაზეა ლაპარაკი, როცა გასახდელში ბიჭებისთვის წარმატების მისალოცად არავინ შესულა, არადა საპატიო სტუმართა ლოჟა საპატიო გვამებით იყო სავსე.

**გია პლატონიშვილი**

◉ მუნდიალ – 2014

# ხვალიდან – ესპანეთში




**დღეს ესპანეთის ექვს ქალაქში (მადრიდი, ბარსელონა, გრანადა, ბარაკალდო, სევილია, ლას პალმასი) სტარტს აიღებს მე-17 მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში.**

ფორუმში 24 ნაკრები ითამაშებს, რომლებიც ოთხ ჯგუფში არიან გადანაწილებულნი.

A **ჯგუფი: ესპანეთი, სერბეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, ეგვიპტე, ირანი.**

B **ჯგუფი: ფილიპინები, სენეგალი, პუერტო რიკო, არგენტინა, საბერძნეთი, ხორვატეთი.**

C **ჯგუფი: დომინიკის რესპუბლიკა, თურქეთი, აშშ, ფინეთი, ახალი ზელანდია, უკრაინა.**

D **ჯგუფი: სლოვენია, ლიტვა, ანგოლა, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია.**

ჯგუფური რაუნდი 4 სექტემბრამდე გასტანს, შემდეგ კი ჯგუფების მოწინავე ოთხეულები მერვედფინალში, რომელიც 6 სექტემბერს შედგება, ამგვარად დაწყვილდებიან: A1-B4, B2-A3, B1-A4, A2-B3, C1-D4, D2-C3, D1-C4, C2-D3.

9-10 სექტემბერს მეოთხედფინალები გაიმართება 11-12 სექტემბერს – ნახევარფინალები, 13-ში მესამე ადგილისთვის მატჩი ჩატარდება, 14-ში კი ფინალია დანიშნული, რომელსაც მადრიდის 15-ათასიანი სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ მინი ფეხბურთი

# დღეს პლეიოფები იწყება

**დღეს ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდულ ცენტრში მინი ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფის პირველი რაუნდის შეხვედრები გაიმართება.**

**აღნიშნული გათამაშება სპორტული ფესტივალის „საქართველო 2014“ ფარგლებში მიმდინარეობს.** საწყის ეტაპზე მასში 16 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ლიგების პრინციპით იყვნენ გადანაწილებული. წრიული ეტაპის შემდეგ ორივე ლიგაში ოთხ-ოთხი საუკეთესო გამოვლინდა და ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას ორრაუნდიან დაპირისპირებაში გაარკვევენ. აღსანიშნავია, რომ რვა საუკეთესოს შორის ორი ბათუმური გუნდი მოხვდა. დღევანდელი სათამაშო განრიგი ასეთია:

**ბათუმი (ბათუმი) – პსპ (თბილისი),**

**ლაზიკა (ზუგდიდი) – მფკ ბორჯომი,**

**მფკ სამტრედია – მფკ რუსთავი,**



**ბათუმის წყალი (ბათუმი) – TTC (თბილისი).**

განმეორებით შეხვედრებს 6 სექტემბერს თბილისი უმასპინძლებს, სადაც გაირკვევა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომლებიც საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად „ოთხთა ფინალში“ ითამაშებენ, რომელიც 26-28 სექტემბერს ბათუმში ჩატარდება. საქართველოს ჩემპიონს სპეციალური თასი გადაეცემა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სპეციალური საპრიზო ფონდი: გამარჯვებული 4000 ლარით დაჯილდოვდება, 2000 ლარი გადაეცემა მეორეადგილოსანს, ხოლო მესამე ადგილზე გასულ გუნდს 1000 ლარი ერგება.

რაც შეეხება თავად ფესტივალს, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით და ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით იმართება, მიზნად ისახავს საქართველოში სამოყვარულო სპორტის განვითარებას, მასობრიობის ზრდას, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მის პოპულარიზაციას. ივნისიდან მოყოლებული, საფესტივალო ღონისძიებებს საქართველოს ათმა რეგიონმა უმასპინძლა, სადაც გამოვლინდნენ კიდეც მაგიდის ჩოგბურთსა და ხელბურთში საუკეთესო მოყვარულები, რომლებიც ჩემპიონის თასებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრებითაც დაჯილდოვდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ ძიუდო

# ჭრიკიშვილის დუბლი



**ჩელიაბინსკის სასპორტო კომპლექს „ტრაქტორის“ ტატამზე გრძელდება ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც უკვე შვიდი ქართველი ფალავანიც ჩაება. შეჯიბრების პირველ დღეს, შეგახსენებთ, რომ 60 კილოში ამირან პაპინაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მარიამობის დღესასწაულზე კი 2014 წლის ევროპის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა გაგვახარა – შვიდწლიანი შესვენების შემდეგ (2007 წელს რიოში ირაკლი ცირეკიძე იყო პირველი) 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა საქართველოს ოქროს მედალი მოუტანა.** ჩელიაბინსკში პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა ფალავანმა ექვსი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან. საქართველოს 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენმა პირველი პაექრობა ჩეხ იარომირ მუსილთან გამართა. ამ უკანასკნელმა მეორე წუთზე ტრავმა მიიღო და ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. მეორე წრეში ჩვენებურმა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ ბელგიელს – ჟოაკიმ ბოტიოს იუკოთი სძლია. მერვედფინალში პორტუგალიელ კარლოს ლუიზთან შეხვედრისას გაფრთხილებით დაწინაურდა. გონგამდე პორტუგალიელმა ფეხში შესვლის წესი დაარღვია და შეჯიბრებიდან მოხსნეს. გაფრთხილებებმა გადაწყვიტა მომდევნო ორი შეხვედრის ბედიც – მეოთხედფინალში ქართველმა ფალავანმა იაპონელი ტაკენორი ნაგასე არბიტრებს სამჯერ დაასჯევინა. ნახევარფინალში ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი ალენ შმიტი მესამე წუთზე იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ ბოლო ორ წუთში ჭრიკიშვილმა მეტოქე ორჯერ გაიყვანა ტატამიდან, რის გამოც მსაჯებმა ფრანგი ასპარეზობიდან მოხსნეს.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლუის პიეტრი (საფრანგეთი) და ანტუან ვალუა-ფორტიე (კანადა). ფავორიტი პიეტრი იყო, მაგრამ ოკეანისგაღმელმა აჯობა. ჭრიკიშვილს შარშანდელ ფინალში მარცხისთვის რევანშის შანსი არ მიეცა, სამაგიეროდ, გადამწყვეტი პაექრობა ვაზარით მოუგო კანადელს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამავე წონაში ნაკრების დებიუტანტმა უშანგი მარგიანმა პირველ წრეში კოლუმბიელ დერიან კასტროს სძლია, მაგრამ მეორეში ჩრდილოკორეელმა ჰონგ ვი პაკმა დაჯაბნა და შეჯიბრებას გამოეთიშა.



გუშინ ჩემპიონატში ძალები მოსინჯეს 90 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძიუდოისტებმა. საქართველოს ნაკრების წევრმა ვარლამ ლიპარტელიანმა მსოფლიოს ჩემპიონატის ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალით დაასრულა და დამამშვიდებელში გადაერთო. არადა, პირველ წრეში ესტონელი ალექსანდრ მარმელიუკი 53 წამში სუფთა გდებით „დაასაჩუქრა“, ლიტველი კაროლის ბაუზა კი მესამე წუთზე შებოჭა. თუმცა მერე უნგრელ კრისტიან ტოტთან ერთი გაფრთხილებით დამარცხდა და საბოლოოდ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ამავე წონაში ნაკრების დებიუტანტს, 18 წლის ბექა ღვინიაშვილს რუსმა კირილ ვოპროსოვმა 31-ე წამზე იპონით მოუგო, საქართველოს ქალთა ნაკრების ნატურალიზებული ჰოლანდიელი წევრი ესტერ სტამი (70 კგ) კი ავსტრიელ ბერნადეტ გრაფს დანებდა.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ინტერნეტიდან

# დონ დიეგოს ახალი სატრფო

**დიეგო მარადონამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყოველგვარ ჭორსა და მითქმა-მოთქმას და თავისი ახალი გულისსწორი, 35 წლის არგენტინელი მოდელი პამელა ანჟესი გამოამზეურა. პამელა სენიორ დიეგოს თურმე ჯერ კიდევ მაშინ ჩავარდნია გულში, როდესაც არგენტინის ნაკრების მწვრთნელი იყო.**




პამელა ანჟესი გარდა იმისა, რომ არგენტინის საფეხბურთო ნაკრების გულმხურვალე ქომაგია, იგი ასევე დიდი მონდომებით გულშემატკივრობს პოპულარულ არგენტინულ საფეხბურთო კლუბ „სან ლორენცოსაც“, რომელმაც, როგორც იცით, წელს ლათინურ ამერიკაში უპრესტიჟულესი ლიბერტადორესის თასი მოიპოვა.

დიეგო მარადონამ თავისი ახალი შეყვარებული ჯერ ფილიპინებზე, შემდეგ კი დუბაიში წაიყვანა და წყვილის ამ მოგზაურობას ოფიციალურად გასეირნება უწოდა, რეალურად კი იქ რა ვნებიანი ამბებიც დატრიალდებოდა, წესით არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

⊙ ელიტაში

# ჩემპიონთა ლიგამ ჯგუფები დააკომპლექტა

**უეფას შტაბ-ბინაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის 2014-2015 წლების სეზონის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრამ 32 კლუბი 8 ჯგუფში ასე გადაანაწილა:**

A **ჯგუფი:** ატლეტიკო, იუვენტუსი, ოლიმპიაკოსი, მალმიო.
B **ჯგუფი:** რეალი, ბაზელი, ლივერპული, ლუდოგორეცი.
C **ჯგუფი:** ბენფიკა, ზენიტი, ლევერკუზენი, მონაკო.
D **ჯგუფი:** არსენალი, დორტმუნდი, გალათასარაი, ანდერლეხტი.
E **ჯგუფი:** ბაიერნი, მანჩესტერ სიტი, ცსკა, რომა.
F **ჯგუფი:** ბარსელონა, პსჟ, აიაქსი, აპოელი.
G **ჯგუფი:** ჩელსი, შალკე, სპორტინგი, მარიბორი.
H **ჯგუფი:** პორტუ, შახტარი, ბილბაო, ბატე.

ჯგუფური ეტაპი სტარტს 16-17 სექტემბერს აიღებს, ხოლო ფინალს 2015 წლის 6 ივნისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" უმასპინძლებს.

**გიორგი შოთაძე**

⊙ რჩეული

# კრიშტიანუ რონალდუ საუკეთესოდ დაასახელეს

**უეფას შტაბ-ბინაში გამართულ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის. ცერემონიალზე გამოვლინდა გასული სეზონის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიც. 54 ასოცირებული ჟურნალისტის გადაწყვეტილებით, ეს პატივი მადრიდის „რეალის" და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავს კრიშტიანუ რონალდუს ერგო.**

აღსანიშნავია, რომ რონალდუს კონკურენციას მიუნხენის „ბაიერნის" ორი მოთამაშე არიენ რობენი და მანუელ ნოიერი უწევდნენ, თუმცა ცხადი იყო, რომ ჯილდო კრიშტიანუს დარჩებოდა. მან „რეალს" სანატრელი მე-10 ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, ხოლო სულ გასულ სეზონში რონალდუმ „რეალის" შემადგენლობაში 47 მატჩი ჩაატარა და 51 გოლი გაიტანა.

„მართლა ძალიან გახარებული ვარ. ამ ჯილდოსთვის ბევრი ვიშრომე. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებს, რადგან მათ გარეშე ინდივიდუალური წარმატება წარმოუდგენელია. ამ ჯილდოს მუზეუმში ჩემი ძმა წაიღებს", — განაცხადა კრიშტიანუ რონალდუმ.

**ბეჟან დოლიძე**




⊙ ტრანსფერი

# ალონსოს „ბაიერნში" წასვლას „რეალიც" ადასტურებს



**მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი ხაბი ალონსო „ბაიერნის" ღირსებას დაიცავს.**

32 წლის ესპანელი ნახევარმცველი უკვე მიუნხენში ჩავიდა, რათა სამედიცინო შემოწმება გაიაროს.

„რეალის" ოფიციალური საიტის ინფორმაციით მხარეებმა ფეხბურთელის ტრანსფერზე შეთანხმებას მიაღწიეს, გარიგების ფინანსურ მხარეზე ინფორმაცია კი ჯერჯერობით არ ვრცელდება.

გუშინ, „სანტიაგო ბერნაბეუს" პრესცენტრში ხაბი ალონსოს გამოსამშვიდობებელი პრესკონფერენცია გაიმართება.

**კობა კობახიძე**

⊙ ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა უილიამსების წინააღმდეგ

**თბილისელი ჩოგბურთელი ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც აშშ-ს ღია პირველობის წყვილთა ტურნირში უკრაინელ ოლგა სავჩუკთან ერთად ირჯება, დები უილიამსების პირისპირ დადგება.**

შეგახსენებთ, რომ ქართულ-უკრაინულმა დუეტმა საწყის რაუნდში შვეიცარიელ ოპრანდის და ამერიკელ როჯერსს 2:6, 6:1, 6:0 სძლია, ამერიკელმა დებმა კი მე-7 განთესვის მქონე უნგრულ-ფრანგულ წყვილს (ბაბოშიმლადენოვიჩი) 7:6 (7:0), 6:7 (4:7), 6:1 მოუგეს.




მომავალი დაპირისპირება ნიუ იორკში ლუი არმსტრონგის სახელობის სტადიონზეა დანიშნული.

**ნატა ნიბლაძე**

ხსოვნა

# ვალმოხდილი კაცი



მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, უსაყვარლესი პიროვნება, დიდებული მოქალაქე და მამულიშვილი **ჯუმბერ ძნელაძე**. მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი და რთული გზა სახელოვნად განვლო. თავის თაობასთან ერთად ყველაფერი გამოსცადა, რაც კი დროის გამოწვევებით იყო შემოთავაზებული. კაცურად იღვაწა, შრომაში გამოიწრთო და საზოგადოების პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. უმაღლესი საინჟინრო განათლების მიღების შემდეგ რიგით მუშაკად დაიწყო საქმიანობა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოში — „რუსთავის ქიმბოჭკოში". მან ქარხნის დირექტორამდე იერარქიული კიბის ყველა საფეხური განვლო და მუშათა გამოცდილ კოლექტივში ჩამოყალიბდა როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი, წარმოების შესანიშნავი ორგანიზატორი.

ჯუმბერ ძნელაძე დიდხანს მოღვაწეობდა საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში, ასევე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში.

90-იან წლებში იგი უბრუნდება მშობლიურ საწარმოს — მას ნიშნავენ საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" გენერალურ დირექტორად. შემდგომ აწინაურებენ საწარმოო გაერთიანება „აზოტის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. ამ პოსტებზე გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, კოლექტივის ლიდერის საუკეთესო თვისებები.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცი, რომლის ცხოვრება იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო ხალხს, ქვეყანას!

ჯუმბერ ძნელაძისნაირ მამულიშვილებს საზოგადოება არ ივიწყებს.

**მეგობრების ჯგუფი.**

**მეუღლე ლუცია, შვილები ნინო, დავითი, რძალი თინათინ ჭითანავა, სიძე ვადიმ პეტროვი, შვილიშვილები თამუნა პეტროვა, ივლიანე და იოანე ძნელაძეები მწუხარებით იუწყებიან**

**ჯუმბერ ძნელაძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 VIII, გამოსვენება 31 VIII, 14 სთ. ნუცუბიძის მე-4 პლატო, ფერწმერთა 109 (ლისის მიმდებარე ტერიტორია).**

**ქეთო, ნოდარ, ნესტან ჭითანავები, გიორგი მუსერიძე მწუხარებით იუწყებიან**

**ჯუმბერ ძნელაძის**

**გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

გახსენება

# რევაზ ცინცაძე



ჩვენო დაუვიწყარო **რეზო**, 30 აგვისტოს ერთი წელი შესრულდა რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ და ჩვენს თვალებზე ცრემლი არ შრება. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. გვგონია, რომ კარებს ისევ შემოაღებ და შენებურად შეგვეხმიანები. ჩვენთვის უშენობა დიდი ტკივილია, რადგან ყველას პატრონი და გვერდში მდგომი იყავი. უშენობის სიცარიელეს ვერაფრით შევავსებთ. გვაკლია შენი ხალასი — გურული იუმორი. სიცოცხლის მოტრფიალე იყავი. ასი წელი უნდა ვიცოცხლოო — ამბობდი, მაგრამ ოთხმოცსაც ვერ მიაღწიე.

ბედნიერი კაცი ხარ იმიტომ, რომ კარგი სახელი დატოვე. ყოველთვის წარმატებული ხელმძღვანელი იყავი, განსაკუთრებით გიყვარდა ახალგაზრდობა, მათზე ზრუნავდი და გზას უკვალავდი. ცნობილი იყავი პატიოსნებით, წესრიგითა და პასუხისგებლობით. ამ ცხოვრებაში ბევრი კარგი გაქვს გაკეთებული. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა მადლიერებით გიგონებს.

ჩვენო რეზო, შენი გარდაცვალებიდან წლისთავზე შენს ოჯახს ახალი სიცოცხლე შეემატა — პატარა დავითი, თითქოსდა სიმბოლურად შენი სიცოცხლის გასაგრძელებლად. მუდამ ემახსოვრები შენს შვილთაშვილებს ანანოსა და ანდრიას. მათი ცხოვრების გზას ყოველთვის გაანათებს დიდი ბაბუის ნათელი სახელი.

როგორი ლამაზი სულის ადამიანიც იყავი, ისე ლამაზად შეხვდი სიკვდილსაც. ისე უეცრად წახვედი, ვერც კი გააცნობიერე რომ ამ ცხოვრებიდან მიდიოდი. მე კი დამტოვე ფრთამოტეხილი მრავალი პრობლემის წინაშე.

ბევრი რომ გქონდა ჩაფირებული, რომლის ასრულებაც ვერ მოასწარი, მე ვეცდები შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გავაკეთო. შემდეგ მეც შენთან წამოვალ, რადგან სიცოცხლის გზის ბოლო ბაქანზე ვდგავარ და შენს ზარს ველოდები. მერე კი სულ ერთად ვიქნებით ჩვენს იმქვეყნიურ საყვარელ ადამიანებთან ერთად.

**შენი მეუღლე დილავარდისა დავითულიანი, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ეკონომიკის დოქტორს ნანული არევაძეს მეუღლის**

**იასონ (რეზო) ჯანაშიას**

**გარდაცვალების გამო.**

**გარდაიცვალა საქართველოს ქალთა საბჭოს აქტიური და ქველმოქმედი წევრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე**

**სოფიკო გამრეკელი**

**საქართველოს ქალთა საბჭო ვიზიარებთ და მწუხარებით ვუთანაგრძნობთ ოჯახს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
568 82-09-84.

# საზარელი მკვლელობა ადიგენში

**შსს ადიგენში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. შსს-ს სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1970 წელს დაბადებული დავით კ. დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ადიგენის რაიონში, სოფელ გორგულის ხიდთან, ურთიერთშელაპარაკებისას, მისივე მფლობელობაში არსებული სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1987 წელს დაბადებულ ვაჟა ნ-ს, 1994 წელს დაბადებულ გიორგი ს-ს, 1989 წელს დაბადებულ ბორის ს-ს და დაჭრა 1992 წელს დაბადებული ბექა ს.

ვაჟა ნ, გიორგი ს. და ბორის ს. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ. ბექა ს. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი - სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბნის შესასვლელში მარიამობას, გვიან ღამით სამი ახალგაზრდა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

## ინფორმაცია

### ემზადებიან ახალი სასწავლო წლისთვის

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ეტაპობრივად სრულდება საქართველოს მასშტაბით 2013 წელს დაწყებული სკოლების მშენებლობები და რვა ახალი სკოლის მშენებლობა იწყება.



რეაბილიტაცია უტარდება 400-ზე მეტ საჯარო სკოლას, მათ შორისაა თბილისის 64 საჯარო სკოლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის 133-ე საჯარო სკოლას ეწვია და სამინისტროს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, პირადად გაეცნო სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას.

133-ე საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია გარემონტდა და მოეწყო საკლასო ოთახები, ამჟერად, დერეფნების რემონტი, იატაკისა და კარებების შეცვლა და სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობს, მოეწყობა ექიმის კაბინეტი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის სკოლა სრულად რეაბილიტირებული იქნება.

მინისტრის განცხადებით, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მომავალშიც უწყვეტ რეჟიმში განხორციელდება.

### დედაქალაქი წინასაარჩევნო პლაკატების ნარჩენებისგან გასუფთავდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, რაიონების გამგებლებმა და საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალების ნარჩენებისგან დასუფთავების მასშტაბურ აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ თბილისის მერიიდან აცნობეს, წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალების ნარჩენებისგან დასუფთავების აქცია, ისევე, როგორც საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში, თბილისის ყველა რაიონში ერთდროულად, გუშინ დილის 10.00 საათიდან დაიწყო.

თბილისის მერის დავით ნარმანიას თქმით, ეს არ არის ერთჯერადი აქცია და სააგიტაციო მასალისგან დედაქალაქის გაწმენდა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე თბილისი სრულად არ გასუფთავდება. მერიის დასუფთავების სამსახურთან ერთად, აქციებში პირადად ჩაერთვებიან რაიონების გამგეობები და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები.

ინტერპრესი

## სკანვორდი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..

## ცინცხალი ანეკდოტები

მართლწესრიგი — ეს ურთიერთობათა ისეთი სისტემაა, რომლის დროსაც ისინი, ვინც მეტს ქურდობს, თვალყურს ადევნებენ იმათ, ვინც ნაკლებს იპარავს, რათა მათ მეტი არ მოიპარონ.

* * *

— გიყვარვარ?
— მიყვარხარ.
— მაშინ მიატოვე სმა.
— მაშინ გადაგიყვარებ.

* * *

პაემანზე თქვენს გოგოს უთხარით, რომ იგი ლამაზია, მერე კი მთელი ძალით ესროლეთ მას ყვავილების თაიგული.



გოგოებს უყვართ ყვავილები, თბილი სიტყვები და ძლიერი მამაკაცები.

* * *

ლენინის დროს ყველაფერი ისე იყო, როგორც გვირაბში: გარშემო წყვდიადია, წინ — შუქი.

სტალინის დროს ისე იყო, როგორც ავტობუსში: ერთს მიჰყავს, ნახევარი ზის, დანარჩენები ცახცახებენ.

ხრუშოვის დროს ისე იყო, როგორც ცირკში: ერთი ლაპარაკობს, სხვები იცინიან.

ბრეჟნევის დროს ისე იყო, როგორც კინოში: ყველანი ელოდებიან სეანსის დასრულებას.

მერე დამთავრდა კიდეც...

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24